სპორტი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 მაისი 2004 №99 (2118) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციამ ბოსკამპიც გადააგდო

Georgia on my mind

ბაბილ ალიევის ფოტო

იოჰან ბოსკამპი საქართველოს ოცდაერთწლამდელთა ნაკრებს არ გაწვრთნის — ახალგაზრდულის თავკაცად გოჩა ტყეებუჩავა დაინიშნა.

გავიხსენოთ და ერთხელაც ავიჩეჩოთ მხრები: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჰოლანდიელი მწვრთნელი აპრილში იწვია მოსალაპარაკებლად. წინასწარი შეთანხმება ვითომ მიღწეული იყო, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ბოსკამპის კანდიდატურა აღმასკომსაც კი წარუდგინა მაგრამ...

აღმოჩნდა, რომ ბოსკამპი ალენ ჟირესს არ უნდოდა, აღმოჩნდა, რომ ბოსკამპი თითქმის იგივე ანაზღაურებას ითხოვდა, რაც ჟირესს აქვს, აღმოჩნდა, რომ ბოსკამპი ჟირესისგან რჩევების მიღებას არ იკადრებდა. მაშ, რატომღა დაიჭირა ფედერაციამ საქმე ბოსკამპთან? თავიდანვე რატომ არ მოელაპარაკა ფედერაცია ჟირესს ბოსკამპის თაობაზე? რატომ აყენებს საკუთარ თავს ფედერაციის ხელმძღვანელობა წამდაუწუმ უხერხულ სიტუაციაში? ანრი მიშელი, ანატოლი ბიშოვიცი, იოჰან ბოსკამპი...

ბოსკამპი საქართველოდან არგენტინაში გაემგზავრა, მას იქაური B ლიგის ერთერთი გუნდის განვრთნა შესთავაზეს, მაგრამ ჰოლანდიელმა იუკადრისა. ახლა კი ბოსკამპი ბრაზილიაში, სან პაულუში ისვენებს საკუთარ სახლში.



გურამ დოლიძეაშვილის ფოტო

ახალგაზრდული გოჩა ტყეებუჩავას ჩააბარეს



ბაბილ ალიევის ფოტო



ბადრი ჯიქელავის ფოტო

სპარტაკმა ხურცილავა იმნაძით შეცვალა

გურამ დოლიძეაშვილის ფოტო

„მცხეთასთან“ გუშინწინდელმა მარცხმა თბილისური „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი შეიწირა — მურთაზ ხურცილავა გიგლა იმნაძემ შეცვალა.„სპარტაკის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ხურცილავა კლუბში სელექციონერად იმუშავებს.

გიგლა იმნაძე გუნდში აქამდე მეკარეებს ავარჯიშებდა, დღეიდან კი მას დაეხმარება ნოდარ აკობია, რომელიც ხურცილავას თანაშემწეც იყო.

შეგახსენებთ, რომ მურთაზ ხურცილავამ „სპარტაკი“ წლეულს, ზამთარში ჩაიბარა და თითქოს შედეგიც არ დაეწუნებოდა — გუნდი თასის ნახევარფინალში გაიყვანა, თუმც „სპარტაკმა“ ეგრეც ვერ შეძლო უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხის თავიდან აცილება. „მცხეთასთან“ წაგებამ კი უმაღლესში დარჩენის შანსი კიდევ უფრო შეამცირა. ახლა სპარტაკელებს დარჩენილ სამ მატჩში ცხრა ქულა თუ იხსნის დაქვეითებისგან. საამსაქმოდ კი, როგორც ვთქვით, გუნდს გიგლა იმნაძე მომართავს.

გოჩა ტყებუჩავა:

ახლა უფრო გაწონასწორებული ვარ

გუშინ გადაწყდა, რომ საქართველოს ოცდაერთწლამდელთა ნაკრებს დამდეგ შესარჩევ ციკლში გოჩა ტყებუჩავა გაწვრთნის, მისი თანაშემწე კი ნიკა ჩხეიძე იქნება.

ტყებუჩავამ დროებითი მწვრთნელის სტატუსით უკვე ათამაშა ახალგაზრდული ნაკრები 27 აპრილს ალენ ჟირესის ნაკრებთან, ხოლო თებერვალში ტყებუჩავა ეროვნული ნაკრების დროებითი მთავარი მწვრთნელიც იყო კვიპროსის ტურნირზე.

ახლა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ტყებუჩავას სრული ნდობა გამოუცხადა და ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარა

ბადრი კუბილაშვილის ფოტო

ჟირესის პროტეჟე ფეხბურთელების ხასიათსაც მოიკითხავს: ცხვირის აწევის უფლება არავის ექნება

— ძალიან მადლობელი ვარ ამხელა ნდობისთვის. ფედერაციის გარდა მადლობას იმათაც ვუხდი, ვინც ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

— თქვენს კანდიდატურას მხარი ალენ ჟირესმაც დაუჭირა?

— ვფიქრობ, ჩემს დანიშვნაში ჟირესის პოზიციამაც იქონია გავლენა. ჟირესს 27 აპრილის თამაშის წინ და მერეც საკმაოდ ხშირად ვხვდებოდი. ჟირესმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— თქვენი სამწვრთნელო გამოცდილებითა და ცოდნით ხართ მზად იმისთვის, რომ საქართველოს ოცდაერთწლამდელთა ნაკრებმა დამდეგ შესარჩევ ციკლში აღრინდელზე ბევრად უკეთ ითამაშოს?

— ახალგაზრდულის მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა — ამ პოსტზე მუშაობა მწვრთნელს ბევრს კი შესძენს, მაგრამ შედეგიც მოგვეთხოვება. ახლა მსურს ყველა იმ მწვრთნელს ვესაუბრო, რომელთა გუნდებშიც ირიცხებიან ნაკრების კანდიდატები — ამ ფეხბურთელებს მათი თამაშით კი ვიცნობ, მაგრამ მწვრთნელებს სპორტული საკითხების გარდა იმაზეც მინდა ვესაუბრო, თუ როგორი პიროვნებები არიან ეს ახალგაზრდა მოთამაშეები.

— კიევის „დინამოში“ აპირებდით სტაჟირებაზე წასვლას. ამაზე ახლა უარს იტყვით?

— არა, ვეცდები როგორმე გამოვნახო ორკვირიანი „ფანჯარა“ და კიევის „დინამოში“ მაინც წავიდე ხანმოკლე სტაჟირებაზე.

— წინა შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბოლო ადგილზე გავიდა — როცა ორი თამაშის შემდეგ გუნდში მთავარი მწვრთნელი შეიცვალა, თქვენ რევაზ არველაძის თანაშემწე იყავით — ბოლო ადგილი ჩვენი საფეხბურთო რესურსის მდგომარეობას სრულად ასახავდა?

— არანაირად და ახლა ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს მართლაც აქვს შანსი, რომ ჯგუფში წარმატებით ითამაშოს. ვფიქრობ, ჯგუფში მხოლოდ ერთი გამორჩეული გუნდია — თურქეთი, თუმც ამ მეტოქესთანაც შეგვიძლია წარმატებით ვითამაშოთ. პირველ რიგში სელექციას უნდა მივაქციოთ ყურადღება — ახალგაზრდულში მიწვეულ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსიც უნდა ჰქონდეს.

— მაინც როგორ აპირებთ წარმატებით თამაშს? დავიწყოთ თუნდაც მეკარით...

— ახალგაზრდული ნაკრებისთვის მართლაც არ გვყავს ისეთი მეკარე, რომელიც უმაღლესი ლიგის გუნდის ძირითადში თამაშობს. ნაკრებისთვის მეკარეს ნიკა ჩხეიძე შეარჩევს. რაც შეეხება დაცვას, ალბათ ოთხი მცველით ვითამაშებთ. როცა სამი მცველით თამაშობ, სამივე ძალიან ძლიერი მცველი უნდა იყოს, ასეთი სამეული კი ჩვენ ჯერ არ მოგვეძებნა. ნახევარდაცვაში და თავდასხმაში კი შედარებით უფრო დიდი არჩევანი გვაქვს და ამ რგოლებში კონკურენციაც უფრო მძაფრი იქნება.

— პირობებზე და სამუშაო გეგმაზე რას იტყვით — ამხანაგური მატჩებისა და შეკრებების განრიგი როდის დადგინდება?

— მსურს, რომ 14 მაისს „თბილისს“ ან „ვიტ ჯორჯიას“ ვეთამაშოთ, გვინდა, 25 მაისსაც ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გუნდს შევხვდეთ. 17 აგვისტოს მოლდოვას ვესტუმრებით — ასე მოვემზადებით ციკლის პირველი თამაშისთვის, რომელიც 4 სექტემბერსაა თურქეთთან. შეკრებებზეც შევუთანხმდებით ფედერაციას. ვფიქრობ, პრობლემები არ შემექმნება, რადგან ჩვენს ფედერაციას მართლაც სერიოზულად სურს, საქმე გამოსწორდეს.

— ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები ერთი ტაქტიკური მოდელით ითამაშებენ?

— ჟირესს ამ თემაზეც აუცილებლად უნდა ვესაუბრო. ისე, ადრე ჩემი პრიორიტეტი სულ შეტევა იყო, მაგრამ ახლა უფრო გაწონასწორებული უნდა ვიყო — გუნდის საძირკველს მეკარე, დაცვა და საყრდენი ნახევარმცველები წარმოადგენენ. ახალგაზრდული ნაკრების თითოეულ კანდიდატს კი „სარბიელის“ საშუალებით მსურს ვუთხრა, რომ ყველაფერი გააკეთონ, რათა თავიანთი კლუბების ძირითადში ითამაშონ.

— ახალგაზრდული ნაკრების ბირთვი დაახლოებით ცნობილია — გიორგი ციმაკურიძე, ზაალ ელიავა, დავით იმედაშვილი, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა, სანდრო იაშვილი, ირაკლი მოდებაძე...

— ისე ნუ ჩათვლით, რომ თუ ამ შვიდეულიდან ვინმე თამაშს მოუკლებს ან კონკრეტული მომენტისთვის მზად არ იქნება, მაინც გამოვიძახებთ ნაკრებში. კონკურენცია მაღალი იქნება — გუნდში ადგილი განაღდებული არავის აქვს და არავის უნდა ჰქონდეს რაღაც-რაღაცეების უფლება.

დავით თავგართქილაძე

ტყებუჩავა ალმართს ვაკით აუყვება

დღეს გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდული ნაკრები საკონტროლო მატჩს გამართავს უმაღლესლიგელ „ლოკომოტივთან“. ტყებუჩავამ ექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმო, თუმც მასში მეტნაკლებად ცნობილ გვარებსაც ამოიკითხავთ. შეხვედრა 16 საათზე დაიწყება „ლოკომოტივის“ სტადიონზე. ტყებუჩავამ საამბატჩოდ ეს ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: ბექა შეყრილაძე (თბილისი), გიორგი თარხნიშვილი (ლოკომოტივი);

მცველები: გიორგი ონიანი (ლოკომოტივი), ნიკა გუშარაშვილი, ნუკრი მანჩხავა (ორივე ბათუმი), პაატა აფშილავა (თსუ);

ნახევარმცველები: დავით ქოქიაშვილი (დინამო), კონსტანტინე დარსანია (სიონი), მამუკა ტყებუჩავა, გოგიტა გოგუა (ორივე თბილისი), თემურ რაქვიაშვილი (მცხეთა), ირაკლი ჟღენტი (ლოკომოტივი);

თავდამსხმელები: რომან გოგინაშვილი, ვლადიმერ კობახიძე (ორივე ლოკომოტივი), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე (თბილისი).

საქართველოში შექმნილი დაძაბულობა ყოველთვის არსახეობდა ფეხბურთზე. გამონაკლისი არც აჭარაში შექმნილი დღევანდელი ვითარებაა. აფეთქებული ხიდები და არასტაბილური მდგომარეობა ბუნდოვანს და საეჭვოს ხდის უმაღლესლიგელი „ბათუმისა“ და პირველლიგელი „ქობულეთის“ „ჰერსპექტივას“. ძველი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ქართული კლუბი ჩოლოქამდე ავტობუსით მისვლას, იქიდან აფეთქებული მონაკვეთს ფეხით გადალახვას და მერე სხვა სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობას დასთანხმდეს. ფაქტობრივად, იგივე მდგომარეობაში არიან ჩოლოქს იქით დარჩენილი „ბათუმიც“ და „ქობულეთიც“

ფეხბურთიც მძევალია

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად საქართველოს პროფესიულ ლიგას მივმართეთ. ლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანმა გვითხრა: „წარმოქმნილ პრობლემებზე მსჯელობა დაწყებულია და პროფლიგა დასკვნებს დებულების თანახმად მიიღებს“.

პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსის ნოდარ კაკულიას კომენტარი: „22 მაისამდე ბათუმში თამაში არ არის და ვნახოთ, ეგებ მანამდე სიტუაცია სტაბილური გახდეს. ვფიქრობ, ბათუმელები გასვლით მატჩებზე ჩამოსვლას შეძლებენ. მინდა, ერთი მაგალითიც მოვიშველიო — როდესაც აფხაზეთში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ჩვენ „ცხუმი“ გათამაშებიდან არ მოგვიხსნია და ამ გუნდს სხვაგან, ნეიტრალურ მოედანზე ჰქონდა მატჩები. ერთ-ერთ სარეზერვო და კომპრომისულ ვარიანტად შეიძლება ლანჩხუთიც განვიხილოთ“.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ დებულების თანახმად, იქ, სადაც კომენდანტის საათია გამოცხადებული, თამაშის ჩატარება იკრძალება. კლუბს, რომელიც ეგრეთ წოდებული ცხელი ზონიდან მატჩზე არ გამოცხადდება, წაგება ჩაეთვლება. ეს პუნქტებიც ბათუმელთა სასიკეთოდ არ მეტყველებს.

საკმაოდ პესიმისტურია „ბათუმის“ მთავარ მწვრთნელ ასლან ბალაძის სიტყვები: „სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა და როგორ იქნება. დაძაბულობა დიდია, რეგიონშიც უმძიმესი მდგომარეობაა და თავად კლუბშიც. მომავალში რა იქნება, ნამდვილად ვერ ვიტყვი, ამას ჩვენ არ ვწყვეტთ“.

დავით ერაძე

ბელგიელი ინსპექტორი ბოლნისში დაიშაქრა

თბილისს უეფას ბელგიელი წარმომადგენელი კარელ ვერტონგენი ეწვია. მისი ვიზიტის მიზანი სამი სტადიონის ინსპექტირება გახლავთ. ბელგიელმა „ლოკომოტივზე“, „ეროვნულზე“ და ბოლნისურ სარბიელზე სათანადო დასკვნა უნდა შეადგინოს და ეს ინფორმაცია უეფაში წარადგინოს. სტადიონების შემოწმება ქართული კლუბების ლიცენზირებისთვის არის საჭირო. თანაც ამ დასკვნის საფუძველზე გადაწყდება, შეესაბამება თუ არა ქართული სტადიონები ევრომასშტაბებს. თუკი ბელგიელის დასკვნა უარყოფითი გამოდგა, მაშინ ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის თამაშების მასპინძლობას ქართული კლუბები შინ ვერ მოახერხებენ.

ჯერჯერობით უცნობია ვერტონგენის ოფიციალური აზრი, დასკვნა მაისის ბოლოს გაცხადდება, თუმც ფაქტია, სტუმარი გუშინ კმაყოფილი დარჩა ბოლნისური ვიზიტით. ვერტონგენმა არაერთხელ გვითხრა „გუდ, გუდ“ სტადიონის შემოვლისასო, ამბობენ ბოლნისელები.

ვერტონგენს ისიც უთქვამს, თქვენი ქვეყანა გელა შეყილაძემ შემაყვარა, ჩემი კარგი მეგობარია, „ლიერსის“ ფანი ვარ და შეყილაძე ამ გუნდში თამაშისას გავიცანიო.

კარელ ვერტონგენი თბილისიდან ხვალ გაემგზავრება.

პაატა ძვანტალიანი

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

6 მაისი

ოცდამეექვსე ტური

სამერი — ოლიმპი

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 18 საათზე. დასწრება უფასოა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გარი სორდიას მეუღლის გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ სამძიმარს უცხადებს ვლადიმერ გუცაევს მამის გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ვლადიმერ გუცაევს მამის გარდაცვალების გამო

საქართველოს უმაღლესი ლიგა — 15 ჩემპიონატი ლიგა — 7 ტური

მეორე ეტაპი

I–VI ადგილები

სიონი	7	4	2	1	10:4	34
დინამო	7	2	3	2	10:6	34
ვიტ ჯორჯია	7	3	2	2	5:2	32
თბილისი	7	3	4	0	11:4	31
ლოკომოტივი	7	1	3	3	4:8	23
დილა	7	0	2	5	1:17	19

VII–XII ადგილები

ტორპედო	7	5	1	1	15:6	33
მცხეთა	7	4	2	1	7:3	24
კოლხეთი	7	3	3	1	8:4	24
ბათუმი	7	2	0	5	4:10	22
სპარტაკი	7	3	1	3	7:6	18
მერცხალი	7	0	1	6	1:13	6

დინამო 1:0 სიონი
ვიტ ჯორჯია 0:0 თბილისი
ლოკომოტივი 3:1 დილა
ბათუმი 0:2 ტორპედო
კოლხეთი 2:0 მერცხალი
მცხეთა [illegible] სპარტაკი

მომდევნო ტური

9 მაისი, კვირა
დილა – ვიტ ჯორჯია
თბილისი – დინამო
სიონი – ლოკომოტივი

9 მაისი, კვირა
მერცხალი – ბათუმი
ტორპედო – მცხეთა
სპარტაკი – კოლხეთი

„დინამო“, „დინამო“, ამო, ამო! ეგრეა, თუ „დინამო“ არ ამოვიდა კრიზისიდან, ჩემპიონატი ლაზათს დაკარგავს, ხოლო ბადრი პატარკაციშვილის ფულები მნიშვნელობას.

ახალი მწვრთნელის ხელში „დინამომ“ პირველი, პრინციპული მატჩი მოიგო და მესამედან მეორე ადგილზე ავიდა.

ამასობაში „ვიტ ჯორჯია“ და „თბილისი“ ფრეზე გაიყარნენ, ხოლო მატჩის არბიტრს ვიტელთა მწვრთნელმა წითელი მაისურა დაუფინა — ჩემი მეტოქე გუნდის ფერი უფრო მოვიხდებაო... მოკლედ, მიმდინარე ჩემპიონატი წყალში დგას და ცეცხლი უკიდია — ვილაცას ვილაცა უყვარს, მაგრამ ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო — ყველა თითო-თითოა.

ბრაზილიელი რომერო უკვე მტკვარდალეულია: ქართული გოლი გაიტანა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

შარფიანი დირექტორები

როგორ მოგეწონათ?!

„დინამოს“ დირექტორატი „სიონთან“ მატჩს საკლუბო შარფებით დამშვენებული დაუხვდა, სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენის შემდეგ კი ცას ეწია სიხარულით. აქამდე მოგებისას ასეთი რამ მათგან არ გვახსოვს. ლოჟიდან გამოსული „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი კახა ჭუმბურიძე კი ნაცნობებს, მათ შორის ჟურნალისტებს, ნიშნის მოგებით ეკითხებოდა — „როგორი იყო?!“

ამ მოგებას არა უშავდა, თუმც წინ არანაკლებ ძნელი მატჩებია.

ბერცხალი ბერძენ ბერ-ბერ ბერ-ბერ

ბადრი კეთილაძის ფოტოები

მსაჯს თუ წითელს ამოუღებ, იმისთანას ამოგიღებს...

მერაბ მალაღურაძემ არადამაჯერებელი მსაჯობით მასპინძლები გააფიცხა. ბევრის აზრით, გამოცდილმა არბიტრმა ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დადო. მალაღურაძემ ჯერ გიორგი ადამიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გადათქვა, მერე კი საჯარიმოში რევაზ ქემოკლიძის ხელით თამაში ვერ შენიშნაო. ყოველივემ წყობიდან გამოიყვანა „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი, ვინაც შესვენების წინ წითელი მაისურით მიეჭრა არბიტრს, აჰა, ბარემ „თბილისის“ ფერი ჩაიცვიო. მოსაწონი, ბუნებრივია, არც კოჭლაშვილის საქციელია და მსაჯსაც მეტი რა უნდოდა, ბოლოსკენ მწვრთნელი ტრიბუნაზე დასვა. ფაქტი კი ის არის, რომ მალაღურაძის მსაჯობა, რომელმაც შესაძლოა მატჩის შედეგზეც იქონია გავლენა, პროფლიგას და სამსაჯო კომიტეტს საეჭვოდ და გასარჩევად არ უცვნიათ, მერაბ კოჭლაშვილს კი დისციპლინარული სასჯელი ნაღდად არ ასცდება.

გეგუჩაძემ ერთი შაში უკვე დასვა?

ბადრი კეთილაძის ფოტოები



სხვანაირად ჩანდა „დინამოში“ გიორგი შაშიაშვილიც და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაცვის ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა — რაც „დინამოს“ ივო შუშაკი წვრთნიდა, შაშიაშვილი წინ არ წასულა, „სიონთან“ კი რამდენჯერმე ჩაერთო შეტევაში — იქნებ მალე ისევ ის ძველი „შაში“ ვიხილოთ, ეროვნულ ნაკრებშიც რომ თამაშობდა.

გია გეგუჩაძე დიდ ტვირთს შეეჭიდა, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი შეიქნა და სადებიუტო მატჩიც მოიგო.

გეგუჩაძის „დინამო“ უკვე სხვანაირია, უწინდელივით არ თამაშობს, რადგან ამ მწვრთნელს რისკი და შეტევა უყვარს — ასეთნაირად ჩანდა „დინამო“ „სიონთან“.

სიმბოლური ნაკრები

- გიორგი მიქაძე — *ლოკომოტივი*
- ლადო ახალაია — *დინამო*
- ოთარ მარცვალაძე — *ვიტ ჯორჯია*
- გოჩა ხოჯავა — *თბილისი*
- სეზარ რომერო — *დინამო*
- ზურაბ ავალიანი — *მცხეთა*
- გიორგი მანწკავა — *ლოკომოტივი*
- ლევან სილაგაძე — *დინამო*
- დავით ჟიჟვეიშვილი — *სიონი*
- გიორგი შაშიაშვილი — *დინამო*
- სოსო გრიშიკაშვილი — *თბილისი*

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

კობიაშვილმა დაიწყო იქ, სადაც დაშავდა

ხანგრძლივი ტრავმიანი უქმობის შემდეგ სათამაშო ფორმას იბრუნებს „ვიტ ჯორჯიას“ მცველი თენგიზ კობიაშვილი. „თბილისთან“ მატჩში კობიაშვილი ძალზე სასარგებლო იყო და ფაქტობრივად პოზიციური შეცდომა არც დაუშვია, აუღელვებლად და ზუსტად თამაშობდა. არადა, გინდა არ გინდა, ამ მატჩის წინ ფსიქოლოგიურად მაინც შებოჭილი იქნებოდა, რაკილა „შევარდენი“ და „თბილისი“ ლამის საბედისწერო გამოდგა მისთვის. 30 სექტემბერს, პირველი ეტაპის მორიგ ტურში „ვიტ ჯორჯია“ სწორედ „თბილისს“ მასპინძლობდა „შევარდენზე“ და იმ თამაშში დაშავდა კობიაშვილი...

200 და, ჯონი, მეტიც

„ფაზისზე“ „კოლხეთმა“ „მერცხალს“ რომ მოუგო, ერთი აღსანიშნი ამბავი მოხდა. კოლხთა ტანმორჩილმა ნახევარმცველმა ჯონი კალანდაძემ საიუბილეო, მეორასე მატჩი ითამაშა უმაღლეს ლიგაში. ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ მეორასე მატჩი კალანდაძემ „მერცხალთან“ ითამაშა. ჯონი ოზურგეთელია და ჩემპიონატის პირველ ეტაპზე სწორედ „მერცხალში“ თამაშობდა.

იღბლის ფერი წითელია, უიღბლობის — შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალაძე საქართველოს ისტორიას აფერადებს

კახა კალაძე იტალიის ჩემპიონია! გუშინწინ „მილანმა“ 1:0 მოუგო კონკურენტ „რომას“ და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაიბევა სკუდეტო. კალაძე კი პირველი ქართველია, ვინც ეს შეძლო. შარშან კახამ და „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგეს და ქართველი მცველი ამითაც პირველია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, კალაძისთვის ეს სეზონი უცუდესი იყო — ტრავმებით გატანჯულმა ოდენ ხუთჯერ ითამაშა სერია A-ში, თუმც დასასრული ზღაპრული გამოდგა — სკუდეტო აქა, უიღბლობა იქა. „რომასთან“ კალაძე ბოლო წუთზე კლარენს ზეედორფის ნაცვლად გამოჩნდა და „სან სიროც“ ოვაციებით შეხვდა მის დაბრუნებას.

ალექსანდრე იაშვილმა „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დატოვა. აწი სასწაული თუ მოხდება, „ფრაიბურგი“ რომ გავარდეს, თორემ პრაქტიკულად ასეთი საფრთხე არ არსებობს. იაშვილმა ორი გოლი გაუტანა „ჰანოვერს“ და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მიიღო გერმანელი ჟურნალისტებისგან. ჩვენებურს ამ სეზონში უკვე 9 ბუნდესლიგური გოლი დაუგროვდა, რაც ურიგო შედეგი სულაც არაა. სრულად ითამაშა „ფრაიბურგის“ ნახევარმცველმა *ლევან ცქიტიშვილმაც.*

მალხაზ ასათიანი ჯანზეა. კუნთის ტკივილისგან გაწვალებულმა ქართველმა ნახევარმცველმა საბოლოოდ მოირჩინა ტრავმა და როსტოვში 90 წუთით შეეხიდა მოსკოვის „ლოკომოტივს“. რკინიგზელებმა 2:1 დაამარცხეს მასპინძლები და ახლა სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე არიან. რუსულ პრემიერლიგაში ჩვენთვის სამწუხარო ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და ასათიანის გარდა მოედანზე არც ერთი ჩვენებური არ გამოჩენილა. *ვიტალი დარასელია* და *ლევან გვაზავა* ტრავმებს იშუშებენ, სხვათაგან კი ზოგი სათადარიგოა, ზოგიც სარეზერვო გუნდში თამაშით ცდილობს ძირითადში მოხვედრას.

სეზონის მეცამეტე გოლი გაიტანა გიორგი დემეტრაძემ. დონეცკის „მეტალურგმა“ 4:2 დაამარცხა ზაპოროჟიული სეხნია და „დემემ“ ერთხელ შეძლო მეტოქის დამწუხრება. ჩვენებურმა ასე თუ გააგრძელა, ჩემპიონატის ბომბარდირობაში ვერავინ შეეცილება.

უკრაინაში მობურთალთაგან *ზურაბ იონანიძის* დაბრუნებაზეც უნდა ვთქვათ. 2003 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი კარგა ხანს არ გამოჩენილა „ტავრიაში“. ძირითადის ადგილი „იონას“ ასევე ყოფილმა ტორპედოელმა *გიორგი იმედაძემ* წაართვა. კვირას კი იონანიძე „კრივბასთან“ მატჩის მეორე ტაიმში სწორედ იმედაძის ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე. „ტავრიამ“ 2:1 მოუგო მეტოქეს და ამ სეზონში პირველად დატოვა გასავარდნთა ზონა.

კვიპროსის ჩემპიონატი ორი ქართული გოლით დასრულდა. *თემურ ქეცბაიას* გაწვრთნილმა „ანართოსისმა“ *გიორგი გაბიდაურის* და *კლიმენტი წიტაიშვილის* გოლებით 2:0 მოუგო სტუმრად „ანაგენისს“ და ოდენ ქულით ჩამორჩა საუეფასთასო მესამე ადგილს. საერთოდ, კვიპროსული პირველი დივიზიონის ბოლო ტურში ექვსივე ქართველის გუნდმა მოიგო. „ანართოსისის“ გარდა *ლევან ქებაძის* „პარალიმნიმ“ 3:2 დაამარცხა აეკ-ი, თუმც ლევანმა გოლის გატანა ამჯერად ვერ შეძლო, სეზონი 19 მატჩში გატანილი 14 გოლით ჩაამთავრა და ბომბარდირებში მესამე დარჩა. *ლევან მაღრაძის* აელ-მა და *გიორგი ქორაძის* „ონისილოსმა“ კი დიდი ანგარიშით, 5:1 და 4:1 დაამარცხეს „დიგენისი“ და „დოჰა“.

დავით მუჯირის „შტურმი“ სტუმრად „მატერსბურგს“ 2:2 დაუზავდა. ჩვენებური საკმაოდ აქტიურად გაისარჯა, ეგაა, ერთხელ გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი და 82-ე წუთზე შეცვალეს. ახლა „შტურმი“ მე-8 ადგილზეა და ამ ქულით ისევ ვერ გაინაღდა მაქსბუნდესლიგაში დარჩენა. არადა, მოგების შემთხვევაში გრაცელებს თავი ქუდში ექნებოდათ.

გივი დიდავას „ქოჯაელმა“ ჩხუბიან მატჩში 1:0 მოუგო „მერსინს“ და სუპერლიგაში გადასვლის უმცირესი, მაგრამ თეორიული შანსი შეინარჩუნა. ნამატჩევს ჩვენებური ორ თანაგუნდელთან ერთად დამხვდურებსაც გაექაჩა, თუმც ინციდენტი მალე ჩაცხრა. ძნელი წარმოსადგენი კია, „ქოჯაელმა“ დაწინაურებული ოთხეულიდან სამს მაინც გაუსწროს და ალბათ ჩვენებურსაც კლუბის გამოცვლა მოუწევს. შეგახსენებთ, თურქული წეს-კანონებით უცხოელს იქაურ პირველ ლიგაში ერთ სეზონზე მეტხანს თამაში არ შეუძლია. დიდავას გადაბირების ერთ-ერთი მოსურნე კი „ტრაბზონსფორია“ — ეს გუნდი შარშანაც ცდილობდა ჩვენებურის ყიდვას, თუმც მაშინ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

კახა შალამბერიძე

გიორგი დემეტრაძე 13-ზე დიდხანს არ გაჩერდება

სახელი გვარი	გუნდი		სად მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	რომა 1:0	1	შეცვლაზე ითამაშა	5	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ჰერტა 3:0	90		27	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰანოვერი 4:1	90	2 გოლი	27	9	11
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰანოვერი 4:1	90		26	4	11
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	ფიურტი 1:5	27	შეცვლაზე ითამაშა	27	7	8
დავით სირაძე	უნიონი	შ	ობერჰაუზენი 2:2	90		9	1	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	მატერსბურგი 2:2	82	გააფრთხილეს, შეცვალეს	25	1	8
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	შ	იანგ ბოისი 0:1	74	შეცვალეს	12	6	8
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	როდა 1:2	90		26	3	8
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ	მოზერუელი 4:0	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ	მოზერუელი 4:0	90		20	0	2
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	როსტოვი 2:1	90		3	0	4
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	როსტოვი 2:1	0		6	0	4
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	როსტოვი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	ყუბანი 3:2	0	ტრავმირებულია	4	1	8
ლევან გვაზავა	ალანია	ს	ყუბანი 3:2	0	ტრავმირებულია	5	0	8
რატი ალექსიძე	როსტოვი	შ	ლოკომოტივი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	4	0	15
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	ზენიტი 0:3	0	სათადარიგო	0	0	5
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	კრილია 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	რუბინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	ს	დინამო (მ) 1:2	0	ტრავმირებულია	3	0	10
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	დინამო (მ) 1:2	90		8	0	10
ედიკ საჯაია	არსენალი	ს	ხიმკი 0:2	0		6	0	12
გიზო ჯელაძე	სოკოლი	ს	ლუჩ-ენერგია 1:2	0	სათადარიგო	5	0	4
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	შ	ტომი 1:2	0	სათადარიგო	5	0	21
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	შ	ტომი 1:2	0	ტრავმირებულია	1	0	21
ვასილ გიგიაძე	ურალანი	შ	ჩერნომორეცი 1:0	1	შეცვლაზე ითამაშა	4	0	7
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	შ	სპარტაკი (ნ) 0:1	0	სათადარიგო	2	0	22
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	შ	მ. ზაპოროჟიე 4:2	81	შეცვალეს	22	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	მ. ზაპოროჟიე 4:2	90	1 გოლი	21	13	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	შ	კარპატი 1:0	0	სათადარიგო	0	0	1
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	კრივბასი 2:1	40	შეცვლაზე ითამაშა	16	2	12
გია ჭანტურია	ტავრია	შ	კრივბასი 2:1	90		6	0	12
გიორგი იმედაძე	ტავრია	შ	კრივბასი 2:1	50	შეცვალეს	7	1	12
კახა ჩხეტიანი	ტავრია	შ	კრივბასი 2:1	90		8	0	12
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	შ	კრივბასი 2:1	0		0	0	12
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	შ	არსენალი 2:1	0	სათადარიგო	2	0	9
გელა შეყილაძე	არსენალი	ს	ვოლინი 1:2	0	ტრავმირებულია	11	0	6
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი							
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	შ	ლეგია					
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	როდოპა 3:1	15	შეცვლაზე ითამაშა	5	0	3
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ნაფტეკსი 2:2	0		11	1	8
მოლდოვა. სუპერლიგა								
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი	შ	ტირასპოლი 2:0	90		22	3	1
მურთაზ ბურნაძე	შერიფი	შ	ტირასპოლი 2:0	26	შეცვლაზე ითამაშა	8	0	1
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	ანაგენისი 2:0	0		20	8	5
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	ანაგენისი 2:0	86	1 გოლი, შეცვალეს	10	3	5
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	ს	ანაგენისი 2:0	90	1 გოლი	9	7	5
ლევან ქებაძე	პარალიმნი	ს	აეკ 3:2	90		19	14	8
ლევან მაღრაძე	აელ	შ	დიგენისი 5:1	90		19	3	4
გიორგი ქორიძე	ონისილოსი	ს	დოჰა 4:1	90		20	9	13
ყაზახეთი. სუპერლიგა								
კახა კვეტენაძე	ორდაბასი	ს	იასი-საირამი 1:0	0	ტრავმირებულია	4	0	8
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი		ტური გამოტოვა			4	0	5
ლევან ბაჯელიძე	ატირაუ	ს	ჟეტისუ 3:2	90		5	0	2

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

საამო წვიმა

ანჩელოტის სკუდეტო საპიმ და ჯაჯელომ დაუფასეს

კარლო ანჩელოტი და მისი რაზმი მე-17 სკუდეტოს ზეიმობს. „მილანი“ იტალიის ჩემპიონია. საამისოდ მან გადამწყვეტ შეხვედრაში „სან სიროზე“ „რომას“ 1:0 მოუგო

„ეს ისეთი გამარჯვებაა, რომელსაც ნელ-ნელა აღწევ — განაცხადა მწვრთნელმა — ჩვენ მთელი სეზონის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით და ტიტულს სრულიად ვიმსახურებდით. „რომასთან“ შეხვედრის მეორე ტაიმში ოდნავ მეტად ვიზრუნეთ ანგარიშის შენარჩუნებაზე, რაც ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან ფინიშის ხაზს ვხედავდით და მისი გადაკვეთის რეალურ შესაძლებლობას ვგრძნობდით“.

გავიხსენოთ ამ თამაშის ყველაზე ემოციური მომენტი, როდესაც ფრანჩესკო ტოტის მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთი კედელში მდგომ ანდრეი შევჩენკოს იდაყვში მოხვდა — ზუსტად ასეთ ეპიზოდში ორი კვირის წინ „სიენამ“ პენალტი მიიღო.

ანჩელოტი: „სკამიდან არ დამინახავს, რა მოხდა. ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, ის მომენტი ვერაფერს შეცვლიდა და ამიტომ მასზე ყურადღებას არც ვამახვილებ. სხვათა შორის, შევჩენკო კედელში არ უნდა მდგარიყო. მას ჯერ არ დავიწყებია, როგორ ჩაემტვრა კბილები და ეშინია“.

მოგეხსენებათ, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ ორი ტურია, რომელიც „მილანისთვის“ არაფერს ნიშნავს. მაგრამ ანჩელოტი ბრძანებს, რომ გაზიდან ფეხის აღებას არ აპირებს.

„ჩვენ უკვე დავაგროვეთ 79 ქულა. ამიერიდან გვინდა „ინტერის“ მიერ 1989 წელს დამყარებული რეკორდი დავამხოთ“.

მაშ ასე, „შავ-წითლებს“ შეუძლიათ სეზონი მხოლოდ ერთი წაგებით დაასრულონ. ეს ერთი მატჩი მათ შობამდე „უდინეზესთან“ წააგეს, 1:2.

„იმ ერთხელ დაგვიცდა ფეხი, თორემ სხვა მატჩები, განსაკუთრებით დიდი მატჩები ჩინებულად ჩავატარეთ. მგონი, „მილანი“ კონკურენტებს უპირველეს ყოვლისა სწორედ ამით სჯობდა.“

საინტერესო დამთხვევა: „იუვენტუსის“ მწვრთნელობისას ანჩელოტიმ სკუდეტო პერუჯაში, წვიმაში წააგო. „მილანის“ სათავეში მან სკუდეტო ასევე წვიმაში მოიგო.

„ახლანდელი წვიმა აშკარად უფრო საამო იყო, ვიდრე ის, პერუჯაში. იმ დღიდან შიში მქონდა ჩარჩენილი, მაგრამ ახლა ეს შიში ჩამორეცხილია. ამიერიდან ახალი წარმატებებისთვის უნდა ვიბრძოლოთ“.

„მილანისა“ და „რომას“ გადამწყვეტი შეხვედრა იმითაც გამოდგა დასამახსოვრებელი, რომ ის ორჯერ შეწყდა ერთი და იგივე მიზეზით: მეორე ტაიმში, როდესაც „რომას“ ტიფოზების ტრიბუნების ქვეშ „მილანის“ კარი მოექცა, მათ მეკარე დიდას მაშხალა გაარტყეს.

დიდა: „ყველამ ვიცით, რომ ასეთი თამაშები საგანგებოა. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, „მილანის“ ქომაგებს კი მადლობას ვუხდი“.

სხვათა შორის, „შავ-წითლების“ დღევანდელ გუნდს არიგო საკის დროინდელ გუნდთანაც კი დაუწყეს შედარება.

არიგო საკი: „რომას“ ამ სეზონში ნაჩვენები თამაშისთვის მადლობა უნდა ვუძღვნათ, მაგრამ უძლიერესმა გაიმარჯვა და ეს სასიამოვნოა. ვულოცავ ანჩელოტის, მას დიდი შრომა დაუფასდა. მიხარია, რომ ჩემპიონი გახდა არა კონტრშეტევაზე აწყობილი გუნდი, არამედ გუნდი, რომელიც ბურთს ფლობს“.

თუმცა არიგო საკის აღიარებაზე მეტად ამჯერად ალბათ, დამარცხებული კონკურენტის, „რომას“ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს დაფასებაა მნიშვნელოვანი.

„გაიმარჯვა უძლიერესმა — განაცხადა კაპელომ — ჩვენს შორის ჩატარებულ ორ შეხვედრაში გაირკვა ყველაფერი. ორივე „მილანმა“ მოიგო. ხაზი მინდა გავუსვა, რომ „რომას“ დიდებული სეზონი ჰქონდა, მაგრამ „მილანი“ უფრო ძლიერი გახლდათ“.

„სან სიროზე“ გამართული გადამწყვეტი თამაშის შესახებ კაპელომ ასე თქვა: „პირველ ტაიმში ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით. გადაბმით სამი პასი ვერ გადავაწოდეთ. შესვენების შემდეგ გაცილებით მობილიზებულნი ვიყავით, მაგრამ სამწუხაროდ, შევჩენკომ ძალიან ადრე გაგვიტანა გოლი და ამით ყველა გეგმა აგვერია“.

სხვათა შორის, კაპელომ იმ დღეს „რომას“ დაცვით ბევრი გააცა. შუაში ვენსან კანდელა და კრისტიან პანუჩი იდგნენ.

„არ ვნანობ, რომ ასე გადავწყვიტე. ახლა ყველაფერი თავიდან რომ იწყებოდეს, იგივეს ვიზამდი, ჩვენი დამარცხება ამის ბრალი არ არის, „მილანს“ უბრალოდ ეკუთვნოდა გამარჯვება. პენალტი? ჩვენ მოვითხოვეთ, მაგრამ არ მოგვცეს. მეტი არაფერი.“

ის, რომ ყველაფერი ამ ორი გუნდის უშუალო დაპირისპირებაში გადაწყდა, გაიმეორა „რომას“ მეკარემ ივან პელიცოლიმაც.

„პენალტს კი ნამდვილად ვიმსახურებდით. ჩემი ადგილიდან ყველაფერი ძალიან ნათლად გამოჩნდა. მომავალში იმედი მაქვს, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი რომში დარჩება. ტოტი? ის „რომაში“ იყო და „რომაში“ იქნება“.

პაპუნა კედია

დიდას თავს დიდი ამბები ტრიალებდა

მაშ ასე, მარჩელო ლიპიმ მთელი საფეხბურთო მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ამ სეზონის ბოლოს „იუვენტუსიდან“ წავა. ხოლო „იუვენტუსმა“ გადაწყვიტა მისთვის პატივი მიეგო.

დიდება ლიპის!

დაისვენე მარჩელო, არ დაისვენო მარჩელო

„ლიპი „იუვედან“ ოვაციის თანხლებით მიდის. ამ ოვაციაში ჩემი გულითადი ტაშიც ურევია — განაცხადა ტურინელთა საპატიო პრეზიდენტმა უმბერტო ანიელიმ — მისი ხელმძღვანელობით ჩვენ დიდ წარმატებებს, პოპულარობას და ბრწყინვალე განცდებს ვეზიარეთ. შეუძლებელია არ აღნიშნო მისი თავდადება, შრომისმოყვარეობა, ჯენტლმენური დამოკიდებულება, მაგრამ შეუძლებელია ასევე არ აღნიშნო, რომ მას ამ დიად სიმაღლეთა დაპყრობის საშუალება დიადმა კლუბმა მისცა“.

მარჩელო ლიპი „შავ-თეთრების“ სათავეში 1994 წლის ზაფხულში მივიდა. დღეს, 2004 წელს მისი ანუ „იუვეს“ მონაგარი გახლავთ ხუთი სკუდეტო, იტალიის ერთი თასი, იტალიის ოთხი სუპერთასი, ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ლიპიმ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელის პოსტი ამ ათწლიანი მონაკვეთის შუაში ერთი ხნით დატოვა. წყვეტის დროს იგი სულ რამდენიმე თვით ხელმძღვანელობდა „ინტერს“ და იქიდან გაწბილებული წამოვიდა, ხოლო შემდეგი წელიწადი უბრალოდ ისვენებდა, არსად მუშაობდა. „იუვეში“ დაბრუნების შემდეგ ლიპიმ ორჯერ ზედიზედ მოიპოვა სკუდეტო.

სანამ ლიპი „ინტერს“ წვრთნიდა და ისვენებდა, „იუვენტუსს“ სათავეში კარლო ანჩელოტი ედგა, რომელმაც ვერაფრით მოახერხა სკუდეტოს მოგება.

„განსხვავება ჩემსა და ლიპის შორის ის არის, რომ მე „იუვენტუსში“ დარჩენა მინდოდა, მას კი ფართო არჩევანი ჰქონდა — ხუმრობდა ანჩელოტი — მაშინ კლუბმა გადაწყვიტა, რომ მე აღარ უნდა დამყრდნობოდა“.

ანჩელოტის და ლიპის გზები მას შემდეგ ყველაზე მკაფიოდ ერთი წლის წინ, ჩემპიონთა თასის ფინალში გადაიკვეთა, როდესაც მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ „მილანმა“ „იუვენტუსს“ პენალტების სერიაში მოუგო.

სად წავა ლიპი „იუვენტუსის“ შემდეგ? ეს ჯერ უცნობია. თვითონ ამბობს, რომ სხვა კლუბს სათავეში არ ჩაუდგება, თუმცა არ არის გამორიცხული, ევრო 2004-ის შემდეგ იტალიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა ჯოვანი ტრაპატონისგან ჩაიბაროს.

„ჩემს კარიერაში დასვენების ერთი წელიწადი ყოფილა და ვიცი, რაც არის. ერთ კლუბთან მრავალწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ასეთი დასვენება ძალიან სასარგებლოა“ — აი, რას ურჩევს კოლეგას „რომას“ თავკაცი, იტალიური ფეხბურთის მეორე ცნობილი ტაქტიკოსი ფაბიო კაპელო.

„მარჩელოს ყველაფერი აქვს, რაც ადამიანს სჭირდება იმისთვის, რათა „სკუადრა აძურა“ ჩაიბაროს. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ჯოვანი ტრაპატონის ბუნებრივი შემცვლელია“ — ამბობს კარლო მაცონე, კიდევ ერთი იტალიელი სპეციალისტი.

პაპუნა კედია

უმბერტო ანიელი

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. საპასხო მატჩი. დღეს

ხავიერ ირურეტა

დეპორტივო — პორტუ

ლა კორუნია. „ესტადიო რიასორი". მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). პირველი მატჩი 0:0

მთავარია ორი რამე

ფრანს ყველაფერი დღეს უნდა

სანამ მატჩისწინა ამბებს მოგითხრობთ, ისტორია ამოვქექოთ, რადგან ამას „პორტუ" გვაიძულებს. „პორტუ" შარშან უეფას თასის ფინალში გავიდა და „სელტიკს" აჯობა, დღეს კი ჩემპიონთა თასის ფინალში გასვლას ლამობს.

ამიტომ გადავწყვიტეთ, მოგვეძებნა ის გუნდები, რომლებიც უეფას თასის ფინალისტობიდან წლისთავზე ჩემპიონთა თასის ფინალსაც რომ უწიეს.

ასეთი სულ სამი აღმოჩნდა. „ლივერპულმა" 1976 წელს უეფას თასის ფინალში, 1977-ში კი ჩემპიონთა თასის ფინალში გააღწია, „ჰამბურგმა" იგივე 1981-82 და 1982-83 წლებში გაიმეორა, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს მსგავს წარმატებას „იუვენტუსმა" (1994-95 — 1995-96) მიაღწია.

ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ გუნდთა ტრიო დღეს შესაძლოა, „პორტუმ" კვარტეტად აქციოს, ოღონდ საამისოდ „რიასორზე" გმირობა სჭირდება.

ლა კორუნიის „დეპორტივომ" გასულ უქმეებზე „რეალი" თითქმის სათადარიგოებით დაამარცხა. მადრიდულ გუნდთან ხავიერ ირურეტამ ექვსი ფეხბურთელი დაასვენა. მანუელ პაბლოს, ნურედინ ნაიბეტს, სესარს, ენრიკე რომეროს, ვიქტორსა და ხუან კარლოს ვალერონს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

„რეალის" წინააღმდეგ ითამაშა და გოლი გაიტანა დიეგო ტრისტანმა, რომელიც ბოლოჟამს ძირითად შემადგენლობას ძალიან გაუუცხოვდა და სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. ტრისტანმა ბოლოს ტურინში „იუვენტუსის" წინააღმდეგ ითამაშა, მას შემდეგ კი ირურეტამ მიივიწყა, მაგრამ ფორვარდმა მწვრთნელს თავი შეახსენა და საფიქრალიც გაუჩინა.

„დეპორტივოს" თავკაცი დღეს „პორტუს" ისეთ თერთმეტეულს უმზადებს, რომლითაც ამ სეზონში გამართულ არც ერთ მატჩში არ უთამაშია.

ხავიერ ირურეტას მაურო სილვა და ჟორჟე ანდრადე დისკვალიფიცირებული ჰყავს, რამაც ცვლილებები აიძულა.

მანუელ პაბლო, ნურედინ ნაიბეტი და სესარი დაცვას გაამაგრებენ, მათ წინ სერხიოს ალბათ ალდო დუშერი შეუწყვილდება, ხოლო ვალტერ პანდიანს ლუკე, ვალერონი და ვიქტორი ზურგიდან დაეხმარებიან, თუმც გუშინდელი ვარჯიშისა და დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, მწვრთნელმა პანდიანის ადგილი შესაძლოა, დიეგო ტრისტან დაუთმოს, რომელსაც თამაში ძალიან სწყურია: „რეალის" კარში გატანილი გოლი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფორვარდისთვის მთავარი ესაა. ახლა მშვიდად ვარ და ვიცი, შრომა დამიფასდება და მალე ალბათ ძირითად შემადგენლობასაც ვეღირსები. ჩვენთვის მთავარია, რომ „რეალის" დამარცხების შემდეგ ეიფორიაში არ ჩავვარდეთ და „პორტუს" ფხიზლად დავუხვდეთ".

ხავიერ ირურეტა: „დღევანდელ მატჩში მთავარი ორი რამ იქნება. პირველი: ორივე გუნდს გოლი სჭირდება და მეორე: საამისოდ სათამაშო უპირატესობის მოპოვებას ეცდება. თამაში თავიდანვე დაიძაბება და ვინც კარგად დაიწყებს, გაცილებით უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდება. პირველი გოლი მეტად მნიშვნელოვანია ასეთ მატჩებში და ვფიქრობ, უფრო ლაღი და გახსნილი ფეხბურთი იქნება, ვიდრე პორტუში იყო. ლა კორუნიაში შექმნილი ატმოსფერო ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, რადგან შინაური კედლები გამარჯვებას გვავალდებულებს. შანსებს თანაბრად ვაფასებ, მიუხედავად იმისა, რომ „რიასორზე" ვთამაშობთ, რადგან მეტოქეს სრული საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, ჩვენ კი ორი მეტად საჭირო ფეხბურთელი გვაკლია. „პორტუ" ძალიან კარგად ორგანიზებული გუნდია და ისიც ვიცი, რომ სტუმრად განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. მაურინიუს გუნდი იშვიათად ცდება და ამიტომ გამარჯვებისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება".

„ჩვენთვის გასაგებია, რომ ეს მატჩი კარიერაში უმნიშვნელოვანესია და სრული მობილიზებით ვხვდებით მეტოქეს, რადგან ფინალში გასვლა ძალიან გვსურს" — თქვა ვიქტორმა.



ჟოზე მაურინიუ

„ან ახლა ან არასოდეს" — მოკლედ მოჭრა ხუანფრანმა.

სტუმართა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ თავდაჯერებულად განაცხადა: „მე ამბიციური გუნდი მყავს, რომელიც ზედიზედ ორი წელი წარმატებულად თამაშობს შინ და ევროთასებზე, ამიტომ გვაქვს ფინალში გასვლის პრეტენზია".

ამ შეხვედრის არბიტრი კი პიერლუიჯი კოლინა იქნება, რომელსაც „დეპორტივოს" მატჩი ერთხელ განუსჯია. შარშან დეკემბერში ლაკორუნიელებმა იტალიელი არბიტრის თანხლებით ეინდჰოვენში პსვ-სთან წააგეს, ხოლო „პორტუს" მსაჯობა კოლინას ექვსჯერ მოუხდა. ამ ექვსიდან პორტუელებს ორი მოგება, ერთი ფრე და სამი მარცხი დაუგროვდათ. ქაჩალი იტალიელის ნასტვენზე პორტუგალიელმა სტუმრად სამი მატჩი გამართეს და ყველა წააგეს.

ვაჟა ხუციშვილი

„დეპორტივოს" დამცველები: სესარი, ნურედინ ნაიბეტი და მანუელ პაბლო

„პორტუ" ფეხშეწყობილი თამაშით იმუქრება

საკვარაუდო შემადგენლობები

დეპორტივო

მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, სესარი, რომერო, ვიქტორი, სერხიო, დუშერი, ლუკე, ვალერონი, პანდიანი

პორტუ

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, მანიშე, კოშტინია, პ. მენდეში, ბოსინგვა, დეკო სოუზა, მაკკარტი

დისკვალიფიცირებულნი:

დეპორტივო: ჟორჟე ანდრადე (1 მატჩი), მაურო სილვა (1 მატჩი)

პორტუ: არავინ

WWW.ODIOCOLLINA.COM

მათთვის ვისაც კოლინა სძულს!



პიერლუიჯი კოლინა ჩივილს აპირებს: „იუვენტუსის" ერთ-ერთ ქომაგს ინტერნეტში თავისი ვებ-გვერდი გაუკეთებია და დაურქმევია, „მე მძულს კოლინა"

„იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და ქვეყნის მსაჯთა ასოციაცია ამ ამბავს დაკვირვებით ადევნებენ თვალს და თუ სიტუაცია რაიმენაირი ფორმით უმართავი გახდება, ჩაერევიან" — წერია ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა გააკეთეს.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ პიერლუიჯი კოლინას ნამსაჯი სერია A-ს მატჩი „ბებერ ქალბატონს" 2001 წლის შემდეგ არ მოუგია, ამ სეზონში კი სამი შეხვედრიდან სამივე მისი მეტოქის გამარჯვებით დასრულდა.

ვებ-გვერდზე წერია: „სიგიჟეა იმის წარმოდგენა, რომ ბოლო ოცი წლის ყველაზე სკანდალური მსაჯი საუკეთესოდ არის აღიარებული. სტატისტიკიდან გამომდინარე, იგი მხოლოდ სიძულვილს და გაძევებას იმსახურებს".

შეგახსენებთ, რომ პიერლუიჯი კოლინა ზედიზედ ოთხჯერ მსოფლიოს წლის საუკეთესო არბიტრად აღიარეს, მას ნამსაჯი აქვს 2002 წლის მუნდიალის ფინალი, 1999 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი, 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალი და სხვა მნიშვნელოვანი მატჩები. პიერლუიჯი კოლინას მიღებული აქვს ფიფას, ფეხბურთის სტატისტიკოსთა ასოციაციის და იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის ჯილდოები.

პაპუნა კედია

მაცადეთ სიცოცხლე და სიკვდილი

ამქვეყნად მობრუნებული მარადონას პირველი ინტერვიუ

დიეგო არმანდო მარადონამ რომ უმძიმესი დღეები გადაიტანა, ალბათ იცით, ისიც გეცოდინებათ, რომ მსახვრალმა სიკვდილმა დიდ არგენტინელს ვერაფერი დააკლო. ამჟამად დიეგო ბუენოს აირესის გარეუბანში, მეგობრის ვილაში იმყოფება და გამოჯანმრთელების შემდეგ ცხელ ნერტილებში (ავღანეთი, ერაყი) მოგზაურობას გეგმავს. დაუდგრომელ მარადონას მისივე თანამემამულე კალმოსნებმა მიაკითხეს.

— დიეგო, საავადმყოფოში გადატანილი დღეების შესახებ მოგვითხრეთ...

—გეფიცებით, სიკვდილი ჩემი თვალით ვნახე. კლინიკაში ცოცხალ-მკვდარი ვიწექი, საოცრად მციოდა და მხოლოდ ის მინდოდა, რომ როგორმე გავმთბარიყავი. ირგლივ ყველაფერი გაყინული იყო. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა...

— დოქტორ კაეს, თქვენს მკურნალ ექიმს, ბოლო დღეებია ბევრს აკრიტიკებდნენ. თქვენც უკმაყოფილო ხართ მისით?

— არავითარ შემთხვევაში. თუ ამქვეყნად ვინმეს კბილებით დავიცავ, ეს ექიმი კაე იქნება. იგი გულისხმიერი ადამიანია და თავისი საქმის მცოდნე.

— კლინიკა მოულოდნელად მიატოვეთ. თქვენს ჯანმრთელობაზე პასუხს ვინ აგებს?

— ექიმთა თანხმობით წამოვედი და ჩემს დღევანდელ და ხვალინდელ ყოფაზეც მარტო მე ვარ პასუხისმგებელი. საერთოდ კი ძალიან არ მომწონს ხალხი, ვინც ჩემზე ისე ლაპარაკობს, როგორც განებივრებულ ბავშვზე. მაშინ, როდესაც ცოცხლა-მკვდარი ვიყავი, ზოგიერთი გაზეთი ჩემზე ბინძურ ჭორებს ავრცელებდა. მადლობა ღმერთს, ასეთები ცოტანი აღმოჩნდნენ.

— ჭორიკანებზე გაბრაზებული ჩანხართ...

— უამრავ რაღაცას მიგონებენ. ფეხბურთელობისას ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებდი. ოჯახსაც მუდამ ყურადღებას ვაქცევდი. ცუდი მამა არ ვყოფილვარ. ამიტომაც უნიჭო სკანდალისტები დასანახად მეჯავრება — მარადონაზე სინამდვილეში არაფერი იციან და ამის დაფარვას წარმოუდგენელი ტყუილებით ცდილობენ ხოლმე... საავადმყოფოში მიყვანის მიზეზზეც კარგა ხანს იჭორავეს. როგორ, ნუთუ ავად გახდომის უფლებაც აღარ დამრჩა? ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, რომელსაც საფეხბურთო მატჩის ყურებისას გული შეიძლება ეტკინოს. არ მიყვარს ასეთი მოლაყბეები.

— სამაგიეროდ, სრული უფლება გაქვთ, თაყვანისმცემლებით იამაყოთ. იმ დროის განმავლობაში, რაც კლინიკაში იწექით, თქვენს გადასარჩენად თითქმის მთელი მსოფლიო ლოცულობდა...

— მინდა მათ გულწრფელი სიყვარულისთვის გულითადი მადლობა ვუთხრა. დარწმუნებული ვარ, მარადონას გამოჯანმრთელებაში ჩემი მეგობრების ლოცვას უდიდესი წვლილი მიუძღვის. დღეს არგენტინაში კრიზისია, თითქოს ყველა თავის პირად გასაჭირში უნდა იყოს ჩაფლული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ როცა საქმეს სჭირდება, ხალხს მოყვასზე ზრუნვაც შეუძლია. თანამემამულეებისა და უცხოელების პატივისცემა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მეხსომება. ერთ ამბავს მოგიყვებით — კლინიკაში პატარა ბიჭი, სახელად ნაუელი მოვიდა და საჩუქრად მეკარის საკუთარი ფორმა დამიტოვა. ნაუელ, შვილო, დიეგო არმანდო მარადონა ამ მაისურას მთელი ცხოვრება გვერდიდან არ მოიშორებს.

— ბუენოს აირესში რამდენ ხანს აპირებთ გაჩერებას?

— ორიოდ კვირით დავრჩები და ჩემს ყოფილ აგენ გილერმო კოპოლასთან საქმეებს მოვაგვარებ (არგენტინელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ დიეგო სამშობლოში 16 მაისამდე დარჩება, რათა თავისი ქალიშვილის, ჯანინას მეთხუთმეტე დაბადების დღეს დაესწროს. შემდეგ კი კუბაში, სარეაბილიტაციო ცენტრში გაემგზავრება.)

— თქვენი ოჯახის წევრების თანადგომაც არ მოკლებიათ. საავადმყოფოში ერთი წუთითაც არ დაუტოვებიხართ მარტო...

— ბედნიერი ვარ, ასეთი ოჯახი რომ მყავს. ყველანი — დედაჩემი, მამაჩემი, კლაუდია და ბავშვები გვერდიდან არ მომცილებიან. მძიმე დღეები ერთად გადავიტანეთ. ახლა სიცოცხლე მსურს, მინდა, ღმერთის მიერ ბოძებული ყოველი წუთით დავტკბე და არავის არ ვაწყენინო. მაგრამ ასევე ვისურვებდი, რომ ოჯახიანად ძალიან მოთმენილი, მოთმინებიანი [illegible] იძლება შორს იყოს. ბუ მე რამემეს დავაშავებ, ამაზე პასუხი ჩემმა შვილებმა არ უნდა აგონ...

— კლინიკაში ყოფნისას არგენტინის პრეზიდენტმაც მოგიკითხათ...

— მადლობის მეტი რა მეთქმის. ვოცნებობ, ნესტორ კირხნერმა არგენტინა კრიზისიდან გამოიყვანოს. ვოცნებობ, სხვადასხვა ქვეყნებში ვიმოგზაურო, სადაც, ომისა თუ გაჭირვების მიუხედავად, ცხოვრება მაინც გრძელდება. შეიძლება ეს სიგიჟეა, მაგრამ დიდი სიამოვნებით ჩავიდოდი ავღანეთში და ერაყში. ღმერთს ვევედრები, ჩემი გეგმების განსახორციელებლად ძალა და სიმტკიცე დამიბრუნოს.

— თქვენს კუბისადმი სიმპათიებზეც ბევრს ლაპარაკობენ. თავისუფლების კუნძული არგენტინაზე მეტად გიყვართ?

— არა, არგენტინაზე მეტად არა. მე მიყვარს კუბა, ჩე, ფიდელი, თუმცა სამშობლო ჩემთვის ყველაზე ძვირფასია...

არგენტინა

კლაუსურა. XII ტური

ველესი — ინდეპენდიენტე 0:0; ლანუსი — ატლეტიკო 1:1; ჩაკარიტა — ესტუდიანტესი 2:0; კოლონი — ოლიმპო 2:0; ხიმნასია — კილმესი 0:1; ტალიერესი — ბანფილდი 2:2; სან ლორენსო — არსენალი 0:0

დიდი ცხვირის უცხვირპირობა

მძიმე როკმა ბილარდო აამჩატა

დიდ კრიზისშია კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესი“, რომელმაც მოუგებელი თამაშების შავი სერია შვიდ მატჩამდე მიიყვანა და აუტსაიდერ „ჩაკარიტასთანაც“ კი წააგო 0:2. ჩაკარიტელებმა პირველ 20 წუთში გაიტანეს გოლები, ხოლო „ესტუდიანტესი“, რომელმაც უკანასკნელად 14 მარტს მოიგო, 20-გუნდიან ცხრილში მე-17 ადგილზე დადგა.

„ოლდ ბოიზმა“ „ბოკას“ კართან ცეცხლი დაანთო

აქ საკვირველი ისიც არის, რომ დაცვის ოსტატობით განთქმულმა ბილარდოს გუნდმა უკვე 22 გოლი გაუშვა, რაც მეორე უარესი შედეგია შეჯიბრში.

ბილარდო, არგენტინაში „ცხვირად“ ცნობილი მსოფლიოს ჩემპიონთა გამწვრთნელი, წლეულს გვარიანად აოცებს მოსეირეებს. „რივერთან“ მატჩზე შამპანურის ბოთლს შეუამხანაგდა, რის გამოც კინაღამ დაიჭირეს, რადგან არგენტინაში სტადიონზე სმა საცხო საქმეა. ამასთან, ის მძიმე როკის ხმამაღალ ჰანგებზე ავარჯიშებს საბრალო „ესტუდიანტესს“.

პროვინციული კლუბი „ტალიერესი“, რომელიც ორ თვეს ლიდერობდა დამხურავ ჩემპიონატს, კვლავ ჩამორჩება „ბოკას“, რადგან „ბანფილდს“ ვერ მოუგო. „ტალიერესი“ ორჯერ იყო წინ, ურუგვაელ ვიქტორ პირის ალვესისა და ხულიან მაიდენას გოლებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც 2:2-ს დასჯერდა.

„ტალიერესი“ მესამეა ცხრილში და 4 ქულით ჩამორჩება „ბოკას“, რომელმაც ასევე ფრედ ითამაშა „ოლდ ბოიზთან“. ამ ორთა შუა კი „რივერია“.

ონორიო ბუსტოს დომეკი

ბოკა ხუნიორსი	12	8	4	0	25:10	28
რივერ პლეიტი	12	8	2	2	32:15	26
ტალიერესი	12	7	3	2	23:14	24
რასინგი	12	7	2	3	22:18	23
ველესი	12	6	4	2	24:14	22
კოლონი	12	6	2	4	16:17	20
ინდეპენდიენტე	12	4	5	3	15:14	17
ბანფილდი	12	4	4	4	15:13	16
კილმესი	12	3	6	3	13:14	15
ოლდ ბოიზი	12	2	8	2	18:16	14
ლანუსი	12	4	2	6	15:18	14
სან ლორენსო	12	2	7	3	12:12	13
ნუევა ჩიკაგო	12	2	7	3	14:18	13
არსენალი	12	2	7	3	10:15	13
ატლეტიკო	12	3	3	6	15:18	12
ხიმნასია	12	2	5	5	17:18	11
ესტუდიანტესი	12	2	4	6	12:24	10
როსარიო	12	2	3	7	13:22	9
ოლიმპო	12	2	3	7	9:21	9
ჩაკარიტა	12	1	5	6	13:24	8

დაწინაურებულ „ესპანიოლს“ რონალდინიომ თავით გაუთანაბრა

გაიტანა და ორჯერ გაატანინა

ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
XXXV ტური

ბარსელონა 4:1 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (19ბ), 1:1 რონალდინიო (35), 2:1 სავიოლა (43), 3:1 ვან ბრონკჰორსტი (53), 4:1 სავიოლა (57)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი, კოკუ, ოლეგერი (გაბრი 84), ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა (კვარესმა 84), დავიდსი, ხავი, მოტა, რონალდინიო, სავიოლა (კლუივერტი 68)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ესპანიოლი: ლემენსი, პოჩეტინიო, ლობო, ტორიჩელი (მორალესი 59), დომორო, მაქსი (რადუჩანუ 65), ალექსი (ველამასანი (52), ფრედსონი, ვომე, მ. პაჯი, ტამუდო

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

გაფრთხილება: ოლეგერი, პოჩეტინიო, დომორო, ტორიჩელი, ალექსი, ვომე

მსაჯი: მედინა კანტალეხო

80 000 მაყურებელი

ამ ტურამდე „ბარსელონა“ ზედიზედ 16 მატჩში არ დამარცხებულიყო და წინა უქმეებზე მადრიდში „რეალი“ თუ დაჯაბნა, მაჩანჩალა „ესპანიოლთან“ შეხვედრაში მოგება მით უმეტეს არ უნდა გასჭირვებოდა. ამასთანავე, წინადღით „რეალის“ მორიგ მარცხს „ბარსასთვის“ ფრთები უნდა შეესხა.

ბარსელონური დერბი ლოგიკურად დაიწყო, ანუ „ბარსამ“ სწრაფი გოლის გატანა მოინდომა და პატარა კატალონიელებს ძალუმ შეუტია, ხავიერ სავიოლამ კი ლამის პირველსავე წუთებზე გაიტანა, მაგრამ სიზუსტე ოდნავ დააკლდა.

ცოტა ხანში გამოჩნდა, რომ ესპანიოლელი ნახევარმცველები ფრედსონი და ალექს ფერნანდესი მოედნის შუაგულში ტოლს არ უდებდნენ ედგარ დავიდსს და ტიაგო მოტას, რითაც სტუმრებს შეტევაში უფრო თამამად წასვლის საშუალება მიეცათ და საბოლოოდ გოლსაც გამორჩნენ. „ბარსას“ საჯარიმოში რაულ ტამუდოს და ოლეგერის უმნიშვნელო ჯაჯგურისას ტამუდო წაიქცა და პენალტი თავადვე დაარტყა — ბურთი პირდაპირ კარის შაუში გაგზავნა და გაიტანა.

მაგრამ „ბარსას“ ჰყავს რონალდინიო. ხოლო რისი გაკეთება შეუძლია მას მოედანზე, ამის თაობაზე სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე რონალდინიომ ინიესტას პასი მიიღო და ანგარიში გაათანაბრა, რის მერეც „ბარსამ“ უფრო ლაღად გააგრძელა თამაში და ცხადი შეიქნა, რომ ამ მატჩში გოლები კიდევ გავიდოდა.

მეორე გოლი სავიოლამ ზედ ტაიმის დასრულების წინ შეაგდო, ასისტენტობა კი რონალდინიომ გაუწია. რონალდინიოსავე წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის მესამე გოლი, ბოლოს კი ისევ სავიოლამ გაიტანა, ამჯერად მიხაელ რაიციგერის დახმარებით.

ამგვარად, ჩემპიონობისთვის ალბათ ვერა, მაგრამ „რეალის“ გადასწრებისთვის „ბარსა“ უეჭველად იბრძოლებს.

ცოტე ძეძელია

ვალენსია	35	22	8	5	68:24	74
რეალი	35	21	7	7	67:44	70
ბარსელონა	35	20	9	6	61:36	69
დეპორტივო	35	19	8	8	56:32	65
ბილბაო	35	14	10	11	47:43	52
ატლეტიკო	35	14	9	12	44:46	51
სევილია	35	13	10	12	51:42	49
ოსასუნა	35	11	15	9	37:33	48
ვილიარეალი	35	13	9	13	44:45	48
მალაგა	35	14	5	16	46:51	47
ბეტისი	35	11	13	11	42:40	46
ალბასეტე	35	12	7	16	37:43	43
რასინგი	35	11	9	15	46:59	42
მალიორკა	35	12	6	17	45:61	42
სოსიედადი	35	10	11	14	42:49	41
სარაგოსა	35	10	9	16	41:53	39
ვალიადოლიდი	35	9	10	16	41:53	37
ესპანიოლი	35	11	4	20	42:60	37
სელტა	35	8	12	15	45:62	36
მურსია	35	4	11	20	27:53	23

მალუდამ არეული დაალაგა

საფრანგეთი
I დივიზიონი. XXXIV ტური

ბორდო 1:1 ლიონი

1:0 შამახი (59), 1:1 დორასო (86)

„ბორდოს“ ყოფილმა მოთამაშემ, ამჟამად კი ლიონელმა ვიკაშ დორასომ შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ულრიხ რამეს ახლო კუთხეში გაუტანა და მასპინძლებს ქულა წაჰგლიჯა.

„ეს ქულა ჩვენთვის ძალიან ძვირფასია და სეზონის ბოლოს ეგებ გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. პირველი ტაიმი აშკარად ჩავაგდეთ, მაგრამ გუნდი მატჩის ბოლოს მოყოჩაღდა და მიხარია, რომ გავთანაბრეთ“ — თქვა „ლიონის“ მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა, ხოლო ფლორენ მალუდამ დასძინა: „დარწმუნებული ვარ, დარჩენილ ოთხ ტურში გაცილებით მძიმე ბრძოლა გველის“.

მასპინძელმა მარუან შამახმა დაწიოკა სტუმარი მცველები, მეკარესთან ჭერესპირაც გაუტანა. მაგრამ გრეგორი კუპემ ბურთი ფეხით მოგერია, შემდეგ ჰანგალ ფეინდუნოს დარტყმამ შეაქანა ხარიხა, ხოლო მარიო კანეირას თავდაკრული ბურთი კვლავ მეკარემ აიღო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში შამახმა ანგარიში გახსნა, ფლორენ მალუდას შეცდომით ისარგებლა და ზუსტად დაჰკრა. ფეინდუნოს კი მეორის გატანა კუპემ არ დაანება.

მალუდამ შეხვედრის ბოლოს შეცდომა საგოლე პასით გამოასწორა, რადგან სწორედ მან მიაწოდა დორასოს ბურთი.

„ლიონს“ რომ მოეგო, მდევარ „მონაკოს“ და პსჟ-ს საგრძნობლად მოსწყდებოდა, მაგრამ პოლ ლე გუენის გუნდმა გაქცევა ვერ შეძლო. ჰოდა, მით უფრო საინტერესო იქნება ჩემპიონატის ეპილოგი.

ვაჟა ხუციშვილი

ვიკაშ დორასომ (მარცხნივ) „ლიონს“ ქულა გადაურჩინა



სად არის ოღბალი?!

რობერტო კარლოსმა რეალი დაამშვიდა

მადრიდის „რეალის“ უიღბლო სერია გრძელდება. „ბარსასთან“ შინ მარცხნაჭამმა სამეფო გუნდმა გასულ შაბათს „დეპორტივოსთანაც“ წააგო. სამეფო გუნდი კარგ, სანახაობრივად ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, შედეგი კი... უარესდება. სწორედ ამის შესახებ ესაუბრა „ლიბრედირეკტოს“ ჟურნალისტი რობერტო კარლოსს, რომელმაც თავისი გუნდის წარუმატებლობა უიღბლობას გადააბრალა...

— „რეალმა“ „რიასორზე“ უმნიშვნელოვანესი თამაში წააგო...

— ყველამ, ვინც კი შაბათს მოედანზე ვიყავით, სამი ქულის დაკარგვა ძალიან განვიცადეთ. მსაჯობა ნორმალური იყო, ბურთს კი ჯიუტად არ სურდა მოწინააღმდეგის კარში შესვლა. მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო ეპიზოდები „დეპორზე“ გაცილებით მეტი შევქმენით, გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. „რეალის“ ბოლო თამაშებს დაუჯერებელი უიღბლობა ახლავს თან.

— გარდა ამისა, რონალდო „დეპორტივოსთან“ მარცხს არბიტრის შეცდომებს აბრალებს.

— არ მჩვევია მსაჯობის გარჩევა. არბიტრს ხან შენს სასარგებლოდ შეეშლება და ხან — მოწინააღმდეგის. სხვანაირად ეს საქმე გამორიცხულია. ახლა მთავარია სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ჩემი აზრით, პრიმერადივიზიონს მსაჯობის მხრივ არა უშავს. ბოლო რამდენიმე მატჩში „რეალს“ მათგან მწარედ მოხვდა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ესპანეთში არბიტრები სხვა ჩემპიონატებთან შედარებით უკეთ ირჯებიან.

— სამეფო გუნდის მოთამაშეები ალბათ, შოკშიც არიან...

— უიმედობა არ გვჩვევია. შევეცდებით, დარჩენილი სამი თამაში მოვიგოთ.

— „რეალის“ სატურნირო მდგომარეობა ახლა ერთობ გართულდა. ზედიზედ ორი მარცხის მერე ამ სეზონში ჩემპიონობის დათმობის საფრთხე გელით...

— „ვალენსია“ ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაშია? გიმეორებთ, წინ სამი მატჩია, რომლებმაც, წესით და რიგით, პრიმერას ბედი უნდა გადწყვიტონ. „რეალს“, „ვალენსიასაც“ და „ბარსელონასაც“ თითქმის თანაბარი შანსი აქვთ.

— „ბარსელონასთან“ და „დეპორტივოსთან“ მატჩებში შემტევი ფეხბურთი შესთავაზეთ მეტოქეს, მაგრამ ორივეჯერ წაგებულნი დარჩით. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— ორივე შეხვედრაში „ბარსას“ და „დეპორის“ საჯარიმოს არ მოვცილებივართ, იმათ კი თითო-ოროლა სახიფათო ეპიზოდი მთელი სიზუსტით გამოიყენეს. თან „ბერნაბეუზეც“ და „რიასორზეც“ კაცნაკლულნი დავრჩით და თავადაც იცით, თანამედროვე ფეხბურთში ეს რასაც ნიშნავს. იმედია, იღბალი მომდევნო ტურებში მაინც არ გვაქცევს ზურგს.

„ფლამენგო“ — „სან კაეტანო“. მასპინძელი ფელიპე ბურთთან არ მიუშვეს

რიოში ფეხბურთი დააჯილდოთ?

ბრაზილიაში გოლს სიყვარულიც გაგიტანს

ბრაზილია

სერია A. IV ტური

გოიასი — გრემიო 4:0; ატლ. მინეირო — პონტე პრეტა 1:2; კრისიუმა — ბოტაფოგო 1:0; ინტერნასიონალი — პაისანდუ 1:0; ფლამენგო — სან კაეტანო 1:1; ფლუმინენსე — ვასკუ და გამა 1:0; სანტოსი — კრუზეირო 1:3; კორინთიანსი — პალმეირასი 0:4; ფუვენტუდე — პარანა 4:0; ვიტორია — ფიგეირენსე 3:1; გუარანი — სან პაულუ 2:3; ატლ. პარანენსე — კურიტიბა 1:1

დიახ, ისე ივარგა ბრაზილიის პირველ ლიგაში დაბრუნებულმა „პალმეირასმა“, რომ სტუმრად 4:0 დააშამათა „კორინთიანსი“.

37 წლის კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა 22-ე წუთზე თავურით გახსნა ანგარიში, რასაც მოჰყვა პედრინიოს ზუსტი დარტყმა. მეორე ტაიმში კი, ასევე კოლუმბიელმა ერნან დარიო მუნიოსმა და ვაგნერ ლავმა (სიყვარულმა) თითოც შეაგდეს ამ ორი ძველი სანპაულუელი გოლიათის თამაშში, რომლებიც 14 თვე ერთმანეთს არ შეხვედროდნენ.

„კორინთიანსი“, გასულ ათწლეულში სამჯერ რომ მოუგია ბრაზილიის ჩემპიონობა, ბოლო დროს კრიზისშია და ოქტომბრიდან ბარე ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა. ამ წაგებამ გუნდი მე-19 ადგილზე ჩააგდო. „პალმეირასმა“ კი პირველად მოიგო ამ სეზონში.

ოთხი ტურის თავზე „ფლუმინენსე“ გამოდგა რიო დე ჟანეიროს პირველი კლუბი, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში მოგება შეძლო. „ფლუმ“ 1:0 მოუგო თანაქალაქელ „ვასკუ და გამას“, „ვასკუს“ 10 ათასმა ერთგულმა ქომაგმა საკუთარ გუნდს უსტვინა. არც გასაკვირია, გუნდი ბოლო ადგილზეა და საერთოდ, ბოლო ოთხი ადგილიდან სამი დიად რიოულ კლუბებს უჭირავთ, „ფლამენგოს“, „ბოტაფოგოს“ და „ვასკუ და გამას“.

„კრუზეიროს“ მეგოლე დუდუმ, სრულიად უცნობმა ჩემპიონატის დაწყებამდე, ორჯერ გაუტანა თვით „სანტოსს“ და 4 თამაშში 6 გოლი მოუგროვდა. „კრუზეირო“ მცველ კრისის გოლით დაწინაურდა, მერე დიეგუმ გაათანაბრა პენალტით, მერე კი დუდუმ აიწყვიტა. საკვირველია და „სანტოსმა“ მესამედ წააგო 4 ტურში. „ვილა ბელმირას“ ხალხი ახლა „თევზების“ (მათი მეტსახელია) მწვრთნელის, ემერსონ ლეაოს გადაყენებას მოითხოვს. აბა, ვის ახსოვს, რომ ლეაოს ხელში „სანტოსი“ შარშან მეორე იყო, შარშანწინ კი ჩემპიონი.

პირველი ადგილი კი პატარა „პონტე პრეტას“ უჭირავს. როდემდე?

ლუჩაუ დუ მოზკაუ

პონტე პრეტა	4	3	1	0	7:3	10
სან პაულუ	4	3	1	0	6:3	10
ფიგეირენსე	4	3	0	1	7:4	9
კრუზეირო	4	2	2	0	9:6	8
კრისიუმა	4	2	2	0	5:3	8
ვიტორია	4	2	1	1	11:5	7
გოიასი	4	2	1	1	10:5	7
ინტერნასიონალი	4	2	1	1	3:2	7
პარანა	4	2	0	2	6:13	6
კურიტიბა	4	1	3	0	4:3	6
პალმეირასი	4	1	2	1	6:3	5
სან კაეტანო	3	1	2	0	3:2	5
ფლუმინენსე	4	1	2	1	5:5	5
გრემიო	4	1	2	1	5:5	5
ფუვენტუდე	3	1	1	1	6:3	4
ატლ. პარანენსე	4	1	1	2	4:5	4
გუარანი	4	1	1	2	4:5	4
სანტოსი	4	1	0	3	6:8	3
კორინთიანსი	4	1	0	3	4:12	3
ატლ. მინეირო	4	0	3	1	4:5	3
ფლამენგო	4	0	3	1	2:3	3
ვასკუ და გამა	4	0	1	3	1:4	1
პაისანდუ	4	0	1	3	4:9	1
ბოტაფოგო	4	0	1	3	3:9	1



ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მინდა დაბლა!

ლიდსი ვარდება, სმიტი რჩება

„ლიდსი“ ვარდება, მისი ყველაზე ერთგული მოთამაშე ალან სმიტი კი არ აპირებს პირველ დივიზიონში კარიერის გაგრძელებას.

„მე არა ვარ დაბალი ლიგის ფეხბურთელი“— თქვა თავდამსხმელმა, რომელიც ნაკრების კანდიდატიცაა.

„ვფიქრობ, „ლიდსის“ გულშემატკივრები გამიგებენ. მე თავს დავდებ დარჩენილ მატჩებში, მაგრამ... ვიმედოვნებ, რომ კვლავ ვითამაშებ „ლიდსში“. არ მგონია, რომ სამუდამოდ ვიხდი ჩემს საყვარელ მაისურას. თავი არ დამიზოგავს. ვერავინ იტყვის, რომ იოლად მივდივარ“.

საერთოდ კი, დაქვეითება დიდად დაეტყობა „ლიდსს“. სმიტის კვალად ალბათ წავლენ მეკარე პოლ რობინსონი, მარკ ვიდუკა და ჯეიმს მილნერი.

ირაკლი გამყრელიძე

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVIII ტური

ტეპლიცე — პლზენი 2:1; პრჟიბრამი — ჟიჟკოვი 1:1; იაბლონეცი — ბრნო 1:0; ბუდეიოვიცე — ბლშანი 1:1; სპარტა — ზლინი 3:1; სიგმა — ბანიკი 0:1; ოპავა — ლიბერეცი 1:3. *სინოტი — სლავია (იხ. მე-2 გვერდზე)*

ბანიკი	28	17	9	2	55:21	60
სპარტა	28	14	10	4	44:22	52
სლავია	27	14	7	6	38:18	49
სიგმა	28	14	7	7	40:23	49
ზლინი	27	12	5	10	31:30	41
სინოტი	27	11	6	10	37:35	39
ლიბერეცი	27	9	10	8	30:26	37
ბუდეიოვიცე	28	10	7	11	33:35	37
ტეპლიცე	28	8	12	8	29:30	36
იაბლონეცი	28	7	14	7	24:30	35
პრჟიბრამი	28	8	7	13	29:36	31
ოპავა	28	8	7	13	29:46	31
ბრნო	28	7	9	12	31:39	30
ჟიჟკოვი	28	6	9	13	18:30	27
ბლშანი	28	7	6	15	30:50	27
პლზენი	28	4	7	17	21:48	19

უკრაინა

პრემიერლიგა. XXIII ტური

დინამო — კარპატი 1:0; ჩერნომორეცი — შახტარი 2:0; ვორსკლა — დნიპრო 0:2; მეტალურგი (დ) — მეტალურგი (ზ) 4:2; ტავრია — კრივბასი 2:1; ილიჩევეცი — ბორისფენი 0:0; ვოლინი — არსენალი 2:1. *ობოლონი — ზირკა (იხ. მე-2 გვერდზე)*

დინამო	23	18	4	1	48:14	58
შახტარი	23	15	4	4	41:18	49
დნიპრო	23	14	6	3	39:17	48
მეტალურგი (დ)	23	10	8	5	38:26	38
ჩერნომორეცი	23	9	10	4	30:23	37
არსენალი	23	8	7	8	27:25	31
ობოლონი	22	8	6	8	19:24	30
ილიჩევეცი	23	6	9	8	23:31	27
ვოლინი	23	7	5	11	20:31	26
ბორისფენი	23	6	7	10	14:23	25
კრივბასი	23	6	6	11	19:28	24
ტავრია	23	5	8	10	15:22	23
ვორსკლა	23	5	8	10	17:30	23
მეტალურგი (ზ)	23	5	7	11	18:29	22
კარპატი	23	4	7	12	17:26	19
ზირკა	22	2	8	12	11:28	14

ურუგვაი

კლაუსურა. VIII ტური

პლაზა კოლონია — უონდერერსი 0:1; ფენიქსი — დანუბიო 0:4; რენტისტასი — ბელა ვისტა 0:0; ტაკუარემბო — ლივერპული 0:1; პენიაროლი — სერო 4:1; დეფენსორ სპორტინგი — სერიტო 2:2; მირამარი — როხა 2:3; დეპორტივო მალდონადო — დეპორტივო კოლონია 0:1

დანია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ოდენსე — კოპენჰაგენი 0:4; ოლბორგი — აკადემისკი 3:1; ესბირგი — ვიბორგი 2:0; ნორდსიელანდი — ფრემი 2:1; ჰერფიოლდი — მიდტიულანდი 1:4; ბრონდბიუ — ორჰუსი 2:0

ესბიერგი	28	17	8	3	62:30	59
კოპენჰაგენი	28	17	7	4	47:22	58
ბრონდბიუ	28	17	6	5	47:24	57
ოდენსე	28	14	6	8	55:42	48
ოლბორგი	28	13	7	8	43:37	46
მიდტიულანდი	28	11	6	11	54:42	39
ვიბორგი	28	10	8	10	42:36	38
ორჰუსი	28	9	3	16	37:56	30
ნორდსიელანდი	28	7	8	13	30:51	29
ჰერფიოლგე	28	7	6	15	26:41	27
ფრემი	28	6	3	19	30:52	21
აკადემისკი	28	5	2	21	23:63	17

სერბეთი

პრვა ლიგა. XXVIII ტური

ოფკ — რადნიჩკი 1:0; ბორაცი — ჟელეზნიკი 2:2; ობილიჩი — ბუდუჩნოსტი 3:0; კომი — ნაპრედაკი 0:0; სარტიდი — ჰაიდუკი 1:0; ვოივოდინა — ზეტა 0:0; სუტიესკა — ცრვენა ზვეზდა 0:1; პარტიზანი — ზემუნი 0:0

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXVII ტური

პრიმორიე — ოლიმპია 1:2; კოპერი — ნოვა გორიცა 1:1; მარიბორი — მურა 1:0; დომზალე — პტუი 5:0; ლიუბლიანა — შმარტნო 1:0. დრავოგრადი — *პუბლიკუმი ხვალ გაიმართება*

ჩილე

აპერტურა. XV ტური

ლა სერენა — უნივერსიდად კათოლიკა 1:4; უნივერსიდად დე ჩილე — უონდერერსი 2:2; პუერტო მონტი — უნიონ ესპანიოლა 4:1; სან ფელიპე — რეინჯერსი 0:2; პალესტინო — კოკიმბო 2:3; უაჩიპატო — კობრელოა 1:2; კობრესალი — ტემუკო 0:3; აუდაქს იტალიანო — უნივერსიდად დე კონსეპსიონი 0:2; ეკვერტონი — კოლო კოლო 0:2

მექსიკა

კლაუსურა. XVII ტური

ტოლუკა — ატლასი 2:2; კერეტარო — სანტოს ლაგუნა 2:0; კრუს ასული — ირაპუატო 3:3; ტიგრესი — სან ლუისი 3:3; გვადალახარა — ამერიკა 0:1; ნეკაქსა — მონტერეი 1:1; უნამი — ვერაკრუსი 6:1; პაჩუკა — ხაგუარესი 3:3; პუებლა — ტეკოსი 0:1; მორელია — ატლანტე 0:3

დიდიე დიდია, დიდიე საუკეთესოა

საფრანგეთის ფეხბურთელთა კავშირმა წლის საუკეთესო მოთამაშედ „მარსელის“ კოტდივუარელი ფორვარდი დიდიე დროგბა დაასახელა, რომელმაც ამ სეზონში ცხრამეტი გოლი გაიტანა და გუნდის უდავო ლიდერია.

იგი „მარსელში“ შარშან „გენგმიდან“ გადავიდა და წლევანდელ გამოკითხვაში თვით მონაკოელ „პატარა უფლისწულს“, ლუდოვიკ ჟიულის აჯობა. ჟიულის თავის მხრივ „სოშოს“ კაპიტანი ბენუა პედრეტი და ნანტელი მცველი მარიო იეპესი ჩამორჩნენ.

მწვრთნელთა შორის რჩეულია დიდიე დეშანი, რომლის „მონაკოც“ ჩემპიონთა ლიგაშიც ბრწყინვალედ თამაშობს და ქვეყნის ჩემპიონობის კარგი შანსიც აქვს.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო ასევე მონაკოელ პატრის ევრას ერგო, ხოლო დეშანის გუნდიდან ხუთი მოთამაშე შეიყვანეს სეზონის სიმბოლურ ნაკრებში, რომელიც ასე გამოიყურება:

გრეგორი კუპე (ლიონი), ბერნარ მენდი (პსჟ), მარიო იეპესი (ნანტი), სებასტიან სკილაჩი, პატრის ევრა (ორივე მონაკო), ბენუა პედრეტი (სოშო), ლუკას ბერნარდი (მონაკო), ჟუნინიო (ლიონი), ლუდოვიკ ჟიული, ფერნანდო მორიენტეს (ორივე მონაკო), დიდიე დროგბა (მარსელი).

ვაჟა ხუციშვილი

დიდიე დროგბა

დიდიე დეშანი

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური								
4 მაისი								
24.00	005	პორტსმუთი-არსენალი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები								
4 მაისი								
23.45	051	სტოკი-ვესტ ბრომვიჩი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
24.00	052	სანდერლენდი-ნორვიჩი	2,4	2,6	3,0	1,24	1,33	1,39
შოტლანდია. პრემიერლიგა. XXX ტური								
5 მაისი								
23.45	098	ჰიბერნიანი-პარტიკი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
ავსტრია								
ბუნდესლიგა. XXII ტური								
5 მაისი								
22.30	300	რაპიდი-კერნტენი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
ავსტრია								
I დივიზიონი. XXII ტური								
4 მაისი								
22.00	308	ბლაიბერგი-ლინცერი	2,4	3,2	2,35	1,37	1,18	1,35
შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები								
5 მაისი								
22.30	322	კრინსი-შაფჰაუზენი	3,4	3,3	1,8	1,67	1,17	1,16
22.30	323	სიონი-ანიო	2,2	3,2	2,8	1,3	1,23	1,49
22.30	324	ივერდონი-ვოლენი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37
დანია. I დივიზიონი. XVI ტური								
5 მაისი								
21.00	343	იოლსტიკე-ნორდიულანდი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
შვედეთი. ალსვენსკა. V ტური								
4 მაისი								
22.00	357	იორგრიტე-გიოტებორგი	2,8	3,1	2,35	1,47	1,27	1,33
ფინეთი. ვეიკაუსლიგა. I ტური								
6 მაისი								
20.30	395	ალიანსი-ინტერი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
7 მაისი								
20.00	396	ტურკუ-ჰიკ	3,1	3,3	2,05	1,59	1,23	1,26
20.30	397	ჰაკა-იარო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
20.30	398	ჰაამეენლინა-როვანიემი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.30	399	ვეზი-ტამპერე	4,0	3,5	1,7	1,86	1,19	1,14
20.30	400	კტპ-მიუპა	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
20.30	401	ლაჰტი-ტპ 47	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
ავსტრია. თასი. 1/2 ფინალი								
4 მაისი								
21.00	612	გრაცერი-რიდი	1,35	4,2	7,5	1,02	1,14	2,69
5 მაისი								
21.00	613	შტურმი-აუსტრია	3,6	3,2	1,9	1,69	1,24	1,19

			1	X	2	1-X	1-2	X-2
დანია. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები								
5 მაისი								
21.00	614	ოლბორგი-ბრიონდბიუ	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
21.00	615	ოდენსე-კოპენჰაგენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
თურქეთი. თასი. ფინალი								
5 მაისი								
22.00	618	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
ხორვატია. თასი. ფინალი. I მატჩი								
5 მაისი								
21.15	622	ვარტეკსი-დინამო	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
უნგრეთი. თასი. ფინალი								
5 მაისი								
20.30	623	ფერენცვაროში-ჰონვედი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. II მატჩები								
4 მაისი								
23.45	001	დეპორტივო-პორტუ	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
5 მაისი								
23.45	002	ჩელსი-მონაკო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
უეფას თასი								
1/2 ფინალი. II მატჩები								
6 მაისი								
24.00	003	მარსელი-ნიუკასლი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
00.45	004	ვალენსია-ვილიარეალი	1,55	3,4	6,5	1,06	1,25	2,23
ლიბერტადორესის თასი								
4 მაისი								
02.05	627	ტახირა-ნასიონალი	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
04.15	628	სპორტინგ კრისტალი-ბოკა ხუნიორსი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
06.30	629	სანტოსი(მექ)-რივერ პლეიტი	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
5 მაისი								
03.15	630	სან კაეტანო-ამერიკა	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
05.45	631	დეპორტივო-კრუზეირო	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
07.50	632	უნივერსიტარია-სანტოსი(ბრ)	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
6 მაისი								
04.00	633	როსარიო-სან პაულო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
06.15	634	ბარსელონა-ონსე კალდასი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
შემდეგ ეტაპზე გასვლა								
4 მაისი								
23.45	7001	დეპორტივო-პორტუ	1,5	2,2				
5 მაისი								
23.45	7002	ჩელსი-მონაკო	2,5	1,32				
6 მაისი								
24.00	7003	მარსელი-ნიუკასლი	1,6	2,0				
00.45	7004	ვალენსია-ვილიარეალი	1,25	3,0				

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. მჩ (ჩეხეთი)						
		4 მაისი						
19.15	1005	გერმანია-შვეიცარია	2,05	4,6	2,35	1,41	1,09	1,55
19.15	1006	აშშ-დანია	1,02	9,0	18,0	1	1	6
		ჰოკეი. NHL						
		4 მაისი						
04.00	1021	ტორონტო-ფილადელფია	2,0	3,6	2,8	1,28	1,16	1,57

			1	X	2	1-X	1-2	X-2
05.00	1022	კოლორადო-სან ხოსე	1,95	3,6	2,9	1,26	1,16	1,6
		კალათბურთი						
		NBA						
		4 მაისი						
22.00	1152	მაიამი-ნიუ ორლეანი	1,3	10,0	2,8			
22.00	1153	მინესოტა-საკრამენტო	1,35	10,0	2,6			

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

5001	დეპორტივო-პორტუ	2,2	2,1	5,0	1,07	1,52	1,47
5002	ჩელსი-მონაკო	2,0	2,15	6,0	1,03	1,5	1,58
5003	მარსელი-ნიუკასლი	2,4	2,05	4,4	1,1	1,55	1,39
5004	ვალენსია-ვილიარეალი	1,8	2,2	7,5	1	1,45	1,7
5005	პორტსმუთი-არსენალი	4,8	2,15	2,2	1,48	1,5	1,08

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი ზაგვლულად ჩაითვლება)

5401	დეპორტივო-პორტუ	1,6	2,4
5402	ჩელსი-მონაკო	1,45	2,8
5403	მარსელი-ნიუკასლი	1,75	2,1
5404	ვალენსია-ვილიარეალი	1,35	3,2
5405	პორტსმუთი-არსენალი	2,4	1,6

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	დეპორტივო-პორტუ	1,65	1,95
5202	ჩელსი-მონაკო	1,8	1,8
5203	მარსელი-ნიუკასლი	1,65	1,95
5204	ვალენსია-ვილიარეალი	1,7	1,9
5205	პორტსმუთი-არსენალი	1,8	1,8

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	დეპორტივო-პორტუ	3,0	2,8	2,0
5502	ჩელსი-მონაკო	3,0	2,8	2,0
5503	მარსელი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0
5504	ვალენსია-ვილიარეალი	3,0	2,8	2,0
5505	პორტსმუთი-არსენალი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	დეპორტივო-პორტუ	1,65	1,95
5302	ჩელსი-მონაკო	1,7	1,9
5303	მარსელი-ნიუკასლი	1,65	1,95
5304	ვალენსია-ვილიარეალი	1,7	1,9
5305	პორტსმუთი-არსენალი	1,7	1,9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	დეპორტივო-პორტუ	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
5102	ჩელსი-მონაკო	2,2	10,0	20,0	3,4	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
5103	მარსელი-ნიუკასლი	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	6,0	20,0	10,0	5,6
5104	ვალენსია-ვილიარეალი	2,1	10,0	20,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0
5105	პორტსმუთი-არსენალი	6,5	10,0	20,0	7,5	4,6	3,5	20,0	10,0	2,5

CROCO BOOKMAKERS

კროკოს ბიუროთა მისამართები

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	კოსტავას ქუჩა №23
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ნახევარფინალი. ორ მოგებამდე

ჯერ შეიცადე!

და მასროლინე ორიოდ ბურთი

...საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე გიგი ნაცვლიშვილმა ორქულიანიც ჩააგდო და ჯარიმის სროლის უფლებაც მოიპოვა, თსუ 71:70 დააწინაურა და სიხარულმოდებულმა მთელი მოედანი ხელების ქნევით შემოირბინა. გიგი მალევე დამშვიდდა, დინჯად მივიდა საჯარიმო ხაზთან და ზუსტი სროლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

„დინამოს“ 11 წამი ჰქონდა თამაშის გადასარჩენად, მაგრამ არჩილ ჟღენტის ინდივიდუალური ოსტატობა ამ საქმეს ვერ ეყო.

თსუ-მ როგორც იქნა, გაიმარჯვა და ეს გააკეთა ყველაზე საჭირო მომენტში, ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში. რომ წაეგოთ, სტუდენტები ჩემპიონატს ემშვიდობებოდნენ, ასე კი სერიაში ანგარიში გაათანაბრეს და „დინამოს“ ხორვატი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი საგონებელში ჩაგდეს.

ვერ ვიტყვით, თსუ-მ გადასარევად ითამაშა და დინამოელებს შანსი არ დაუტოვაო. პირიქით, თამაში ძირითადად ბრაიკოვიჩის გუნდს მიჰყავდა, მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრეც 6 ქულით „დინამო“ იყო წინ, მაგრამ მამუკა ტურაშვილის გუნდმა საჭირო მომენტში იძალა.

მოდით, თამაშის მიმდინარეობას ღრმად ნუ ჩავუკირკიტდებით და უფრო ზოგად ჭრილში შევხედოთ ამ შედეგს. რატომ წააგო „დინამომ“, გუნდმა, რომელსაც ეროვნული ნაკრების უცხოელი სპეციალისტი წვრთნის და ყველა დანარჩენ კლუბზე უკეთესი პირობები და ხელფასები აქვს?

ბრაიკოვიჩმა და ეგებ სხვა დინამოელმაც თქვას, კოტე ტულუში რა ხანია, ტრავმირებული გვყავს, რამაზ გოგობერიშვილი კი წინა მატჩში დაშავდაო. გოგობერიშვილი გუშინ მართლაც აკლდა „დინამოს“. შეიძლება ითქვას, მისი არყოფნის გამო წაგო ჩემპიონმა. თუმც რამაზის ფაქტორი თავის გასამართლებლად ნაკლებად გამოადგება ბრაიკოვიჩს, რაკი „რუსთავისთვის“ სპონსორებს რომ არ ელალატათ, გოგობერიშვილი დღეს საერთოდ არ იქნებოდა „დინამოში“. არადა, ხორვატს საგანგებო (სანაკრებო) შეკრებაზე ჰყავს შემადგენლობა შერჩეული და მისმა კრებულმა გუშინ ვერაფრით გვიჩვენა ის, რასაც გუნდური თამაში ჰქვია.

„დინამოს“ ძალიან იშვიათად გამოსდიოდა კომბინაციის შედეგიანად დაგვირგვინება და უმეტესწილად დრიბლიორთა ინდივიდუალური ოსტატობით აგროვებდა ქულებს. მწვრთნელი იმისაა, გუნდური და აზრიანი თამაში ასწავლოს შეგირდებს, თორემ ინდივიდუალური ოსტატობით ფონის მძებნელ კლუბს გინდ ხორვატი ჩაუყენე სათავეში და გინდ ხევსური.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ „დინამოს“ თამაშში ვერ დავინახეთ იმის ნახევრის ნახევარიც კი, რაზეც მისი მწვრთნელი თავს დებს. კერძოდ, ბრაიკოვიჩი თავს ევროპული კალათბურთის სპეციალისტად თვლის და ამბობს, ჩემს პრინციპებს არასდროს ვუღალატებ, გინდაც წავაგოო. ჰოდა, წააგო, მაგრამ ვერსად დავინახეთ ის პრინციპები, რაზეც ევროპული კალათბურთია დაფუძნებული. ბრაიკოვიჩს სამწვრთნელო დუელი მოუგო დებიუტანმა მამუკა ტურაშვილმა, რომელმაც გუშინდელ მატჩში მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწია.

მაგრამ მოდით, ნუ გადავაყოლებთ ბრაიკოვიჩს ამ ერთ წაგებას (პლეი ოფში, თორემ მანამდეც ბევრი წაუგია), სეზონის დასრულებამდე ხომ კიდევ დარჩა... ისე, რაღა დარჩა, თუ ხვალაც წააგო ხორვატის გუნდმა, მტერს, მერე რაც „დინამოში“ მოხდება...

სწრაფი, ორმხრივი კონტრშეტევებით გაჯერებული თამაშის შემდეგ ნელ-ნელა გამოიკვეთა ორივე გუნდის ტაქტიკა, უფრო სწორედ, ის, როგორც მათ სურდათ, ეთამაშათ. თსუ-მ თავისი ზორბა ცენტრი კახა შენგელია ირჩია წარმატების საწინდრად და არც შემცდარა. ორიოდ თვის წინ „დინამოში“ სწორედ თსუ-დან გადასული ვალერი კილაძე ბევრს ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით აჩერებდა მასზე მძიმე და განიერ შენგელიას. ამავდროულად სტუდენტები პერიმეტრზეც არ ირცხვენდნენ თავს, ირაკლი მაისურაძე და დავით თორთლაძე ჩვეულად მკვირცხლობდნენ, მიზანიც იშვიათად ღალატობდათ. თსუ-ც 16:12 დაწინაურდა, თუმც მერე მოედანზე შენგელიას დასასვენებლად შემოსულ ზურაბ სანიკიძეს არ გაუმართლა ფარქვეშ და დინამოელი დავით მუშკუდიანის მიჯრით მითვლილი 6 ქულით ჩემპიონმა საწყისი მეოთხედი 23:19 მოიგო.

მცირე შესვენების შემდეგ მოედანზე კვლავ გამოჩნდა შენგელია და „დინამოს“ მეფარეებსაც საქმე გაურთულდათ. საკუთრივ ბრაიკოვიჩს გუნდს კი შეტევაში უკანახაზელებისა ეიმედებოდა, თუმც ხანგამოშვებით მეფარეებიც გამოიღებდნენ ხოლმე ხელს — ეს მაშინ, როცა შენგელია დროებით იშტაზე არ იყო.

მთელი მეორე მეოთხედი სტუდენტები ზურგსუკან მისდევდნენ „დინამოს“, მაგრამ ვერაფრით მოახერხეს გადასწრება. დიდი შესვენების შემდეგ კი როლები შეიცვალა. კახა შენგელიამ 22-ე წუთზე 42:41 რომ დააწინაურა თსუ, „დინამო“ კვალში ჩაუდგა. ჩემპიონი მეოთხედის ბოლოს 54:55 აგებდა.

გადამწყვეტი მეოთხედის ახალდაწყებულზე ბრაიკოვიჩმა მოედანზე თავდამსხმელი ვახტანგ მინაშვილი გამოიყვანა. ეტყობა, ერთგვარ ოქროს მარქაფად ჰყავდა შემონახული. მაგრამ „ფობიმ“ ვერაფერი გააწყო გამოცდილ ამროსი ორმოცაძესთან, შენგელიას ხომ ახლოსაც ვერ ეკარებოდა და ისევ სკამზე აღმოჩნდა. ტაქტიკურ მანევრებს აზრი აღარ ჰქონდა, ვინმე სნაიპერი ან დრიბლიორი თუ მოიგებდა თამაშს და მიჰყვეს კიდეც ვაკო ბეჟანიშვილმა და არჩილ ჟღენტმა თავიანთ საქმეს ხელი. პირველი შორიდან, მეორე კი ელვისებური გარღვევებით ცდილობდა თსუ-ს ფარის დალაშქვრას. გამოსდიოდათ კიდეც. „დინამოს“ ულხინდა...

თსუ-ს საქმეც თითქოს მოთავებული იყო. ანერვიულებული ბრაიკოვიჩის გუნდი ლაშა ლოსაბერიძის საჯარიმოების შემდეგ 70:64 დაწინაურდა სირენამდე 2 წუთით ადრე და სწრედ აქ გამოადგა თსუ-ს გამოცდილი კალათბურელების მარიფათი. შენგელიამ მიჯრით მითვალა 4 ქულა, ორმოცაძემაც ზუსტი საჯარიმო ტყორცნა სირენამდე 37 წამით ადრე და „დანამოს“ ერთქულიანი ლიდერობაღა შერჩა. ვაკო ბეჟანიშვილმა არ დაიშალა, სამქულიანით ავუგებ წესს სტუდენტებსო, მაგრამ მისი აცილებული ბურთი სტუდენტებმა მყის ნაცვლიშვილს გადააწოდეს და – 1:1.

გუშინ ფარქვეშეთი კახა შენგელიასი იყო

დრაჟენ ბრაიკოვიჩს საქმე გაურთულდა

ირაკლი პერტაია

მეხუთე ადგილისთვის

მაკაბი 2:0 სსუ

3 მაისი. ვერის ბაღი

მაკაბი 107:85 სსუ

26:27 27:16 27:16 27:26

მაკაბი: ნინოშვილი (25), ბადრიძე (12), წოწელია (30), ვაშაკიძე (18), სუხიშვილი (20); კონჯარია (2)

სსუ: ფარღალავა (6), კანკია (25), ონიკაშვილი (2), ერქვანია (18), ქვილითაია (10); პატარაია (11), გოლეთიანი (5), დოლიძე (4), ურიდია (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

დინამო 1:1 თსუ

3 მაისი. ვერის ბაღი

თსუ 72:70 დინამო

19:23 18:15 18:16 17:16

თსუ: თორთლაძე (6), მაისურაძე (9), ორმოცაძე (11), ნაცვლიშვილი (14), შენგელია (26); სანიკიძე (3), ფანჩულიძე (3), საყვარელიძე, აბრამიძე

დინამო: ჟღენტი (14), ხოშტარია (5), ბეჟანიშვილი (12), კეიდია (8), კილაძე (6); ლოსაბერიძე (14), მუშკუდიანი (6), ჩუბინიძე (5), მინაშვილი, გამყრელიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

8 მარტ დოლოდოვანოვის ფოტო

საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

სტუ-შევარდენი 44:23 ქუთაისი

სტუ-შევარდენი: ანდრიაძე, კობახიძე (გაიტანა 15 გოლი), კალანდაძე (6), ნადირაძე (6), ნიკოლაიშვილი (6), ჩუბინაშვილი (3), ქობელაშვილი, ყიფიანი (4), არაბული (3), ჯიშკარიანი (1), სეთურიძე, ნატროშვილი, სიამაშვილი

ქუთაისი: ხინგავა, ბოყოჩაძე (18), კუჭუხიძე (2), გობეჯიშვილი (1), მამასახლისი (1), შარაშენიძე, გაბედავა, გოგონაძე (1), ნიქაბაძე, შათირიშვილი, ხარაიძე, გურაბანიძე, აბულაძე, დოლაკიძე

მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

მართვე 35:33 საუ-მამული

მართვე: ბიჩინაშვილი, კვერნაძე (11), ქირია (9), ბერძენიშვილი (4), სხიერელი (4), საჯაია (2), აგლაძე (2), გრიშიკაშვილი (2), სიგუა (1), სამყურაშვილი, მსხვილიძე, ჯორბენაძე, ცერცვაძე, დარჩიაშვილი

საუ-მამული: დ. ბერიკაშვილი, წივწივაძე (10), ოსიფმაშვილი (9), კობახიძე (4), სიხარულიძე (4), ცოტაძე (2), ზაქარიაშვილი (2), ჭელიძე (1), ღაღანიძე (1), ო. ბერიკაშვილი, ხონელიძე, ხუციშვილი

მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

შევარდენელმა მამია კობახიძემ ქუთაისელებს 15-ჯერ გაუტანა

ალ.ბ. ფოტო

მართვე დაფრთიანდა

როგორც იქნა, ეშველათ და გუშინ თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი.

ეს ჩვენთანაა, რომ მხოლოდ ახლა იწყება ეროვნული პირველობა, თორემ ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში სწორედ მაისში ასრულებენ რამდენიმეწრიან ჩემპიონატებს საპლეიოფო და სათასო თამაშებით.

ჯანდაბას, რაც არის არის, მთავარია, რომ დავიწყეთ. სულ არაფერს ხომ თუნდაც ჩვენგვარი ორწრიანი ტურნირი სჯობს. ცნობისთვის, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის მიერ შექმნილი ორგკომიტეტი გვაიმედებს, რომ მომდევნო პირველობა წინანდელივით ნოემბერ-მაისში ჩაივლის და მხოლოდ ორი ტურით არ შემოიფარგლება.

შეჯიბრებაში ხუთი გუნდი ჩაება. ასე რომ, ყოველდღიურად ორი შეხვედრა ჩატარდება. გუშინ თავისუფალი იყო შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „თბილისი“. გაბსნის მატჩზე სათქმელი პრაქტიკულად არაფერია — ქუთაისელებმა იოტისოდენა წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს 13-გზის ჩემპიონ „სტუშევარდენს“. აღსანიშნავი მხოლოდ ისაა, რომ ქუთაურთა 23 გოლიდან 18 უბერებელმა (31 წლის) ალეკო ბოყოჩაძემ გაიტანა. შევარდენელთაგან 15-ჯერ გამოირჩა მამია კობახიძე.

სამაგიეროდ, მოლოდინი გამართლდა და საინტერესო საცქერი იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულისა“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „მართვეს“ დაპირისპირება. მამულელებმა კარგად დაიწყეს და მეხუთე წუთისთვის ორი ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ მომდევნო ხუთწუთეულში პატარა „შევარდნებმა“ გაუთანაბრეს — 4:4. თანაბარი ბრძოლა ტაიმის ბოლომდე გაგრძელდა და ანგარიში შვიდჯერ გაყაიმდა, პირველი ნახევარი კი „მამულმა“ მინიმალური სხვაობით მოიგო — 14:13.

თამაშის განახლებისთანავე „მართვეებმა“ ჯერ გაათანაბრეს, მალე კი წინაც გაიჭრნენ. ბოლომდე აღარც დაუთმიათ უპირატესობა და შარშანდელ მესამე პრიზიორს არცთუ მოულოდნელი მარცხი აგემეს.

2004 NBA Playoffs

ხომ არ შეგაწუხე, ბებერო?

დანკანი მელოუნს წამოაჯდა



მეორე წრე

დასავლეთი

სან ანტონიო 1:0 ლეიკერსი

სან ანტონიო 88:78 ლეიკერსი

სან ანტონიო: პარკერი (20), თურქოღლუ, ბოუენი (5), დანკანი (30 ქულა, 11 მოხსნა), ნესტეროვიჩი (10); ჯინობილი (11), ბრაუნი (8), ჰარტი (4), ჰორი, ვილისი

ლეიკერსი: პეიტონი (4), ბრაიანტი (31 ქულა, 10 მოხსნა), ჯორჯი (8), მელოუნი (10 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (19 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება); ფიშერი (4), მედვედენკო (2), რაში, უოლტონი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს" ერთი წაქცევით ვერ დაზაფრავ და ხელებს ვერ ააწევინებ (ან დააშვებინებ), მაგრამ „სან ანტონიოსთან" მარცხმა ლოსანჯელესელებს ვინძლო გვარიანადაც შეურყია ისედაც ეჭვშეჩენილი თავდაჯერება. ჩემპიონმა „სფურზმა", როგორც დიდ გუნდს შეშვენის, სეზონის ბოლოს გააჩაღა საჩემპიონო თამაში, ხოლო ექსჩემპიონ „ლეიკერსს" ლამის ყოველი მატჩის წინ სჭირდება ფილ ჯეკსონის ვერბალური მათრახები ცოტა აზრზე მოსაყვანად. ბებერ ახალწვეულებს, გერი პეიტონს და კარლ მელოუნს ხომ აქეთ აქვთ სასესხებელი მხნეობა ახალგაზრდებისგან. ერთ თამაშში 20 ქულას რომ გამოვლენ, მერე ორჯერ ზედიზედ ათის გაკეთება უჭირთ და ყველაფერს კობი ბრაიანტს ვერ გადააბრალებენ, აქაოდა სულ ეგ ისვრის და ჩვენ შავ მუშებად ვიქეცითო. თუ სროლა უნდა გერი პეიტონს, ვინ ოხერი დაუშლის? გამთამაშებელია და ყველა შეტევაში ბურთი მაგის ხელში გამოივლის.

მაგრამ სროლა-არსროლა საკალათბურთო ნიუანსებია, რისი ფილ ჯეკსონზე უკეთ ცოდნა არ მოგვეთხოვება. სამაგიეროდ, ქანდარაზე 10-დოლარიან ადგილზე შეყუჟული ბავშვებიც ხედავენ, რომ წლებით დაზურგულ პეიტონს დღითი დღე უჭირს „ლეიკერსისთანა" ხრიგინა ეტლის მართვა და ხალისთან ერთად ჯანსაც ეთხოვება. წამოჩიტული სანანტონიოელი ტონი პარკერი ისე აბურთავებს გერის, როგორც პეიტონი სამი-ოთხი წლის წინ ნბა-ს ყველა გამთამაშებელს ერთი-ორის გარდა.

პარკერმა მატჩი 20 ქულითა და 9 პასით დაასრულა და ორმაგად აჯობა პეიტონსაც და მის შემცვლელ დერიკ ფიშერსაც, თუმც „ლეიკერსს" ყველაზე დიდი ლახვარი „სან ანტონიოს" 213-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელ-ცენტრმა ტიმ დანკანმა ჩასცა. მისი 30 ქულა პერსონალურად კარლ მელოუნისთვის დადებული კვანტიც იყო. მელოუნმა ლიგაში დანკანის გამოჩენისთანავე დაკარგა პირველობა თავდამსხმელის ამპლუის მოთამაშეებში, ახლა კი ამ უწყინარსახიანი მკვლელის გადამკიდე თავს იქნებ გადაბერებულად და ზედმეტადაც გრძნობს.

ამ გამარჯვებით სერიაში დანკანის „სან ანტონიო" დაწინაურდა და თუ სერიაც მოუგო „ლეიკერსს", 41 წლის მელოუნს სანუკვარ ჩემპიონობასთან გამოთხოვებაც მოუწევს.

თუ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 11 მატჩსაც მივათვლით, „სან ანტონიოს" 16 ზედიზედ მოგება გამოსდის.

კოტე ყორშია

პირველი წრე

აღმოსავლეთი

მაიამი 3:3 ნიუ ორლეანი

ნიუ ორლეანი 89:83 მაიამი

ნიუ ორლეანი: დევისი (15 ქულა, 12 პასი), ვესლი (10), ლინჩი (16), ბრაუნი (16), მალუა (14); ოგმონი (6), ვესტი (6), ტრეილორი (4), არმსტრონგი (2), სმიტი

მაიამი: ვეიდი (27), ჯონსი (23), კ. ბატლერი (14), ოდომი (9 ქულა, 11 მოხსნა), გრანტი (6 ქულა, 10 მოხსნა); ჰეისლიმი (3), ალსტონი (1), რ. ბატლერი

გარნეტის ფასმა აიწია



კევინ გარნეტი სეზონის უძვირფასესი მოთამაშეა! სეზონის მთავარი პირადული ჯილდოს მფლობელი ჯერ არ დაუსახელებია ნბა-ს, მაგრამ გამოკითხვა კარგა ხანია ჩატარდა და კულისებიდან გამოსული ხმებიც უძვირფასესად სწორედ „მინესოტა ტიმბერვულვზის" 27 წლის 211-სანტიმეტრიან თავდამსხმელს ასახელებენ. გარნეტიც მალე ჩაიბარებს კუთვნილ პრიზს.

„ფორმალობის შესრულებაღა დარჩა — ამბობს გარნეტის და „ტიმბერვულვზის" მწვრთნელი ფლიპ სანდერსი — არა მგონია დიდი დრამა გათამაშდეს. კარგი სეზონი ჰქონდათ დანკანსაც და ჯერმენ ონილსაც, მაგრამ გარნეტი საუკეთესო იყო."

სანდერსმა უმრავლესობის აზრი თქვა. გარნეტს ზღაპარი სეზონი ჰქონდა და მოდი, ნუ დავთვლით, რამდენ სტატისტიკურ მაჩვენებელში გაუმჯობესა კლუბის რეკორდი. მთავარი, თავისთავად, მის მიერ სეზონის განმავლობაში საშუალოდ ნახვეჭი 24,2 ქულა (მე-4 შედეგი ლიგაში) და 13,9 მოხსნაა (პირველი შედეგი).

გარნეტის შემწეობით „მინესოტასაც" საუკეთესო სეზონი ჰქონდა — 15-წლიან ისტორიაში სარეკორდოდ ბევრი 58 თამაში მოიგო (24 წააგო) და დასავლეთ კონფერენციაში ყველას აჯობა. პლეი ოფშიც ჯერ ყველაფერი გადასარევადაა. „მინესოტამ" „დენვერი" 4:1 დაამარცხა, პირველად გასცდა პირველ რაუნდს და „საკრამენტოც" არა ჩანს დაუძლეველ ბარიკადად.

თავად გარნეტი დიპლომატიური თავდაჭერილობით პასუხობს კითხვაზე — რას წარმოადგენს თქვენთვის ეს ჯილდო — „ყველა წარმატება მახარებს, რასაც კალათბურთი მოიტანს. ეს გუნდური თამაშია."

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი

REUTERS ხერესიდან

როსის რაში გაუოჩნდა ჰონდა, ჰონდამ იმარჯვა

ამ კვირადღეს ხერესში უჩვეულო რამ მოხდა: „მოტო გრან პრის" გრანდ-ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ არათუ ვერ მოიგო რბოლა, არამედ მეოთხე ადგილზე გავიდა და საერთოდ ვერ შედგა ფეხი პოდიუმზე. ეს ფაქტი თავისთავად აღსანიშნავია, მით უფრო, რომ როსი პოდიუმის გარეშე 2002 წელს ჩეხეთის გრან პრის შემდეგ არ დარჩენილა, თორემ ამ „მარცხით" ის ბევრს არაფერს კარგავს — სეზონის პირველი რბოლის მოგებაში და ახლა მეოთხე ადგილში აღებული ქულებით ცისკარა იტალიელი საერთო ჩათვლაში მესამეა და მისი წაბორძიკების შემდეგ წინ გასულებს ორიოდ ქულით ჩამოუვარდება.

REUTERS ხერესიდან

ესპანეთის დიდი პრიზი ბარსელონელ სეტე გიბერნაუს დარჩა

უარესიც შეიძლება მომხდარიყო: ხერესის სველ ტრასაზე (დილიდან წვიმდა სამხრეთ ესპანეთში) ერთ მოსახვევში მისმა „იამაჰამ" გაუხედნავი ცხენივით შეისროლა „მხედარი" და ვინძლო ზურგიდან გადმოგდებაც მოინდომა, მაგრამ როსიმ მარჯვედ დაიმორჩილა რკინის რაში, ფინიშამდე უსიკვდილოდ მიაჭენა და იქ ცოტაოდენი ქულებიც იშოვა.

მოტო-500 ვალენტინო როსით იწყება და მთავრდება (აკი სეზონის პირველი რბოლა მოიგო, ხოლო ბოლო სამ ჩემპიონატს ტრიუმფით ასრულებს). მაგრამ იმ რბოლას სხვა გმირი ჰყავდა. ანდალუზიელები ვერ დააფრთხო შხაპუნა წვიმამ, ტემპერამენტიანი სამხრეთ ესპანელები „ხერესის" ტრიბუნებზე 125 ათასი მოგროვდნენ და ფრიადაც გაიხარეს, როცა რბოლა „ჰონდას" ესპანელმა „ეოკეიმ" სეტე გიბერნაუმ მოიგო და საერთო ჩათვლაში ქულით გაასწრო ორივე ეტაპზე მეორე ადგილის დამჭერ თანაგუნდელ მაქს ბიაჯის. პოდიუმი „ჰონდასვე" მრბოლმა ალექს ბარუშმა შეავსო.

„25 ქულა ავიღე და ეს გამარჯვებაც თავისთავად ამით მახარებს — მსჯელობდა ნამატჩევს 31 წლის ბარსელონელი გიბერნაუ — მაგრამ განსაკუთრებით მსიამოვნებს შინაურებში გამარჯვება."

ხერესში ბოლო „შინაური" ტრიუმფატორი ალექს კრივილე გახლდათ. 1999 წელს მისი ზეობის შემდეგ ესპანელები ოთხი წელი ელოდნენ თეთრ რაშზე ამხედრებულ თვისტომს.

კოტე ყორშია

ესპანეთის დიდი პრიზი. „ხერესი" — 4423 მ

მოტო გრან პრი

1. სეტე გიბერნაუ (ესპანეთი, ჰონდა) — 52 წთ; 01,3
2. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) — ჩამორჩა 5,4
3. ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) — 52,6
4. ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) — 58,6

საერთო ჩათვლა

1. გიბერნაუ 41 ქულა; 2. ბიაჯი 40; 3. როსი 38; 4. ბარუში 29; 5. ნიკი ჰეიდენი (აშშ, ჰონდა) 22

250 სმ³

1. რობერტო როლფო (იტალია, ჰონდა) — 52 წთ; 20,1
2. რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) — 8,7
3. ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) — 32,6

საერთო ჩათვლა

1. დე პიუნე 40 ქულა; 2. როლფო 32; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა) 25; 4. სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 25; 5. ნიეტო 25

125 სმ³

1. მარკო სიმონჩელი (იტალია, აპრილია) — 47 წთ; 45,7
2. სტივ იენკნერი (გერმანია, აპრილია) — 0,8
3. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, აპრილია) — 7,2

საერთო ჩათვლა

1. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა) 38 ქულა; 2.რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია) 28; 3. იენკნერი 28; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 27; 58 სიმონჩელი 25

დასაწყისი იხ. №95

შვიდი მწვერვალი

ვინსონი

ვინსონი და მასზე მოლაშქრის პორტრეტი

და რაკი ანტარქტიდაზე და მისი უმაღლესი მწვერვალის ბუნებრივ პირობებზე ამდენი ვთქვით, ერთი ორი სიტყვით იქაურ ფლორასა და ფაუნაზეც შევჩერდეთ. თუმცა, რაც იქ ფლორა და ფაუნაა, წერილის პირველ ნახევარში ესეც ვახსენეთ.

ერთი შეხედვით საკვირველია, მაგრამ ამ ყველაზე სუფთა და მკაცრ კონტინენტზე ბაქტერიებიც არის.

ყოველივე ამის შემხედვარე კაცს წარმოუდგენლად გეჩვენება, რომ აქ ერთ დროს ამწვანებული ველ-მინდვრები იყო და დინოზავრები ხის ფოთოლ-ყლორტებს შეექცეოდნენ.

ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა კონტინენტები ერთ მთლიან მიწას წარმოადგენდნენ. მერე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, გამყინვარებაც დაიწყო, სამხრეთ პოლუსზე ის დინოზავრები სხვა ნადირ-ფრინველთან ერთად დაიღუპნენ და ანტარქტიდაც თანდათან უზარმაზარ ყინულოვან მუზარადში ჩავდა თავისი მაღლობებითა და დაბლობებით, მაღალი მთებითა და უფსკრულებით, მდინარეებითა და ტბებით.

ახლა ანტარქტიდის წარსულს გვახსენებს პენინსულის მთიანი მასივი, რომელიც 65-225 მილიონი წლისაა. მისი უმაღლესი მწვერვალი, კირკპატრიკი, რომელიც პოლუსთან ყველაზე ახლოსა, ლამის მე-80 პარალელზე, 4528 მეტრზე აღმართულა. ამავე მთებშია სხვა ოთხიათასიანი მწვერვალებიც, მათ შორის მარკჰემი (4359მ), ლისტერი (4026მ). აქვეა სამიათასიანი მწვერვალებიც, მათ შორის ვულკანური წარმოშობისა, რომელთაგან ზოგი დღესაც მოქმედია. ვულკანური მწვერვალებიდან ყველაზე ცნობილია ერებუსი (3794).

პენინსულის მთიანი მასივი ანტარქტიკული ნახევარკუნძულისკენ თანდათან დაბლდება და დრეიკის სრუტით სამხრეთ ამერიკის ანდებს წყალქვეშა გორაკებით უკავშირდება.

ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი ვინსონი ლინკოლნ ელსუორთმა 1935 წელს ტრანსატლანტიკურ გადაფრენისას აღმოაჩინა. მის საპატივცემულოდ იმ ტერიტორიას ელსუორთის მიწა უწოდეს, მაგრამ 1957-58 წლებამდე იქ ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა. 1958 წელს, რომელიც საერთაშორისო გეოფიზიკის წლად გამოცხადდა, დაადგინეს, რომ ანტარქტიდის ყველაზე მაღალი მწვერვალები სწორედ ელსუორთის მიწაზე იყო აღმართული, რამაც მთამსვლელებს მოსვენება დაუკარგა, მაგრამ იქაურ პიკებზე ასვლამდე მთავარი პრობლემა თავად ანტარქტიდამდე მიღწევა იყო. ამიტომაც ამერიკელმა მთამსვლელებმა თავიანთ მთავრობას მიმართეს. იქაურმა ჩინოვნიკებმა მათი თხოვნა 8 წლით უჯრებში ჩაკარგეს. ბოლოს ამერიკის მთამსვლელთა კლუბი საზღვაო ფლოტის მაღალჩინოსნებმა დააიმედეს. ფლოტმა პირობა შეასრულა.

1966 წლის დეკემბერში მთამსვლელთა ექსპედიცია ვინსონიდან 30 კილომეტრის დაშორებით გადასხეს.

თვითმფრინავიდან საუცხოო სანახავი იყო მწვერვალები, ხოლო როცა ყინულზე დავჯექით, იქაურობამ გაგვაოგნა — იხსენებს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ბრაიან მარტსი — მთლად მოსწორებული არემარე იყო და უცებ, იქიდან კედელივით აღმართული მთის მასივი გადმოგვყურებდა. ვინსონის მისადგომებამდე ორი კვირა ვიარეთ. ორ მთას შორის ხეობაში გზას რომ მივიკვლევდით, საშინელი გრიგალი ამოვარდა, რამაც ორ დღეს გასტანა. გრიგალმა წაგვლიჯა კარვები, მოგვტაცა ბარგის ნაწილი და ლამის ჩვენც თან წაგვიღო. ნამდვილი ქაოსი და ჯოჯოხეთი იყო. პირველად სწორედ მაშინ შევიგრძენით ანტარქტიკული საშინელება. მიუხედავად ამისა, 18 დეკემბერს ჩვენი ჯგუფის პირველი სამი წევრი მწვერვალზე ავიდა, ორი დღის მერე კი — ყველა დანარჩენი.“

ვინსონზე პირველამსვლელები აღმოჩნდნენ ნიკოლას კლინჩი, ჯეი ბარი, ჯონ ევანსი, ეიჯი ფუკუსიმა, ჩარლზ ჰოლისტერი, უილიამ ლონგი, ბრაიან მარტსი, პეტერ შიონნინგი, სამუელ სილვერსტოუნი, რიჩარდ უოლსტრომი.

ამის მერე მომდევნო ექსპედიციებმა ელსუორთზე ყველა მნიშვნელოვანი, მაღალი მწვერვალი დალაშქრეს და ანტარქტიდის სხვა მთათა პიკებიც, მაგრამ როცა საწადელს მიაღწიეს, იქაურობას მთამსვლელები თანდათან შემოაკლდნენ, მათ შორის ვინსონსაც, რადგან იგი მეტისმეტად შორს იყო და მასზე ასვლა ძალზე ფასი ჯდებოდა. ბოლოს, როცა ამერიკელმა მენტეშაშვილ-ბელოუნეტმა და ბასმა და უოლტ დისნეის კორპორაციის პრეზიდენტმა ფრენკ ველსმა ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალთა დალაშქვრა განიზრახეს, მზერა კვლავ ვინსონს მიაპყრეს. ისინი ამ მიზნით დაქირავებულ მთამსვლელებთან რიდ ჯოვისთან და კრის ბონინგტონთან ერთად ვინსონსაც მიადგნენ. მწვერვალს ბასმა და ბონინგტონმა მიაღწიეს. მერე მათ სხვა მიმდევრებიც ბლომად გამოუჩნდნენ და ალპინისტებმა კვლავ გაიხსენეს ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი.

ახლა ვინსონზე ყოველწლიურად 100-ზე მეტი კაცი მიემართება. ისინი ანტარქტიდაზე სპეციალური თვითმფრინავით ჯდებიან. მერე 2300 მეტრამდე მოტო მარხილებს იყენებენ და ბოლოს ქვეითად ლაშქრობაც იწყება. პირველ ბანაკს 3350 მეტრზე აწყობენ, მეორეს — ვინსონის უღელტეხილზე, 3950 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ქარისგან სრულიად დაუცველი ადგილია. ამიტომ იქ უარს ამბობენ კარვების დადგმაზე და გამოქვაბულებს თხრიან.

ბოლო ბანაკი 4270 მეტრზე იდგმება და გადამწყვეტი იერიშიც იქიდან იწყება. ზოგჯერ უამინდობის გამო ბოლო ბანაკს არც დგამენ და პირდაპირ მწვერვალისკენ მიდიან. ამაში მათ ხელს ისიც უწყობთ, რომ ანტარქტიდაზე პრაქტიკულად ღამე არ არის. დეკემბერ-ივნისში აქ 20-საათიანი დღეა.

საქართველოს მთამსვლელთაგან ვინსონზე მხოლოდ რუსთაველი ბენო ქაშაკაშვილი ასულა. მან ანტარქტიდის უმაღლესი პიკი ორი წლის წინათ დალაშქრა და ამით გაასრულა „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა.

ავთანდილ გურასაშვილი



ანტარქტიდის სანაპირო

ვინსონზე მოლაშქრენი კარვებს ყინულის ბლოკებითაც იცავენ

ანტარქტიდული პეიზაჟი მწვერვალიდან



უავიაციოდ მთამსვლელები ვინსონზე ვერას გახდებიან

ᲡᲐᲡᲝᲤᲘᲝ ᲡᲔᲤᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ გაძლიერებულნი და პრეზიდენტის სეფე სიტყვით სტიმულმიცემული წყალბურთელები გუშინ სოფიაში გაემგზავრნენ.

რუსეთის ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობიდან ტრიუმფით დაბრუნებული საქართველოს გუნდი ძალზე გახარებული კი იყო, მაგრამ იმავდროულად უახლოეს მომავალზე შეფიქრიანებულიც ჩანდა — გუნდს სოფიაში, ევროპის პირველობის შესარჩევ შეხვედრებზე გასამგზავრებელი თანხა არ ჰქონდა და თითქოს არც მისი შოვნის პერსპექტივა ისახებოდა. თუმცა, ამგვარ გაურკვევლობას უმალ დაესვა წერტილი, როცა თბილისში დაბრუნებული წყალბურთელები მათი გამარჯვებით ჩვენსავით გახარებულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო და სასოფიოდ სეფე სიტყვაში დახმარებასაც დაჰპირდა. მიხეილ სააკაშვილმა, რაღა თქმა უნდა, პირობა შეასრულა და გუშინ საქართველოს ნაკრები სოფიაში გაფრინდა.

საქართველოს ნაკრებიო, ჯ ვამბობთ, თორემ მისი წევრები არიან „ლაგუნა-ვერეს“ აუზში მოვარჯიშე, ამ საქმით დაინტერესებული ერთადერთი ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელები: დავით ქაჯაია, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, გიორგი ბიბილეიშვილი, ილია ბუტიკაშვილი, გიორგი ცირეკიძე, ზურაბ რურუა, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი და გივი კილურაძე. მათ დაემატნენ საკლუბო დონეზე მათივე ძველი თანაგუნდელები, ამჟამად მოსკოვში მოთამაშე წყალბურთელები თამაზ მანძულაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, მიხეილ ბალათურია და ირაკლი გოგელია, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, ჩვენს გუნდს საკმაოდ გააძლიერებენ.

და მაინც, ჩვენი ბიჭების შანსებზე საუბარი ძნელია, რადგან მეტოქეებს არ იცნობენ. ან სად უნდა გაეცნოთ, როცა საერთაშორისო ტურნირებზე უსახსრობის გამო ვერ მონაწილეობენ. ამასთან, ეს შეჯიბრება 1986-87 წლებში დაბადებული წყალბურთელებისთვის იმართება, ჩვენს გუნდში კი ოთხი მოთამაშე ერთი-ორი წლით უმცროსია.

ასეა თუ ისე, ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში, რომელიც ხვალ დაიწყება, საქართველოს მეტოქეები ქვეჯგუფში იქნებიან: სლოვენიის, უკრაინის, ბულგარეთისა და კვიპროსის ნაკრებებიც, რომელთაგან ორი საუკეთესო ფინალურ ეტაპზე 16 უძლიერესს შორის მოხვდება და ოქროს მედლისთვის შემოდგომაზე უკვე მალტაში იბრძოლებს.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲝᲒᲠᲔᲓᲘᲡ ᲐᲚᲚᲝᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲒᲝ

BMW OPEN BY CREDIT SUISSE
მიუნხენი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი ევრო

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲩᲘ (რუსეთი) — მარტინ ფერკერკი (4, ჰოლანდია) 6:4, 7:5

სეზონის პირველი, ხოლო კარიერის მესამე ტიტულის, გამარჯვებულისთვის დათქმული 61 608 ევროსა და ზედაც ახალი ვერცხლა სპორტული BMW-ის მოსაგებად 22 წლის რუს ნიკოლაი დავიდენკოს ოყრაყ ჰოლანდიელ მარტინ ფერკერკთან 97-წუთიანი ფინალის გადატანა მოუხდა. ეს არც ისე ძნელი საქმე გამოდგა და ბოლო შვიდი წლის განმავლობაში გერმანიაში მცხოვრებმა რუსმაც თავისი პირველი გერმანული ტიტული სრულიად გაუსაჩივრებლად მიითვალა.

OPEN SEAT GODO
ბარსელონა. თიხნარი
საპრიზო 990 ათასი ევრო

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ (8, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (13, არგენტინა) 6:3, 4:6, 6:2, 3:6, 6:3

ტომი რობრედო ბარსელონელია და, ბუნებრივია, შშობლიურ ტურნირზე გამარჯვებას გამორჩეულად ნატრობდა. ეს ნატვრა წლევანდლამდე ნიადაგ ჩოგნიდან უსხლტებოდა, წლეულს კი უკვე ვეღარსად გაექცა — სამი დღის წინ გაოცდაორწლისებულმა ესპანელმა მთელი კვირა აღმაფრენით ჩაითამაშა და სეზონის პირველი, ხოლო კარიერის მეორე ტიტულიც დამსახურებულად ირგუნა.

ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი გასტონ გაუდიო ხუთსეტიან ფინალში მას სამი საათისა და 46 წუთის განმავლობაში ერკინებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქედის მოდრეკა მოუხდა.



ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ

რობრედო გახდა მე-11 ესპანელი მეჩოგნე, ვინაც ბარსელონურ თიხნარზე იმარჯვა.

J & S CUP
ვარშავა. თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (2, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:1, 6:4

განსაკუთრებულ ბრძოლას ამ ფინალში არავინ მოელოდა და ასეც მოხდა — შარშანდელ ფინალში ამელი მორესმოსთან მუცლის ტრავმის გამო დამარცხებულმა ვინუსმა 18 წლის რუსგოგო კუზნეცოვას ფიორა შანსიც არ მისცა და დამაჯერებლად მოუგო. ეს მისი მეორე საამსეზონო და 31-ე საკარიერო ტიტულია. ორი კვირის წინ მან ჩარლსტონურ თიხნარობაზეც იმარჯვა. ამ წარმატების შედეგად ის მსოფლიო კლასიფიკაციაში მეცამეტიდან მეთერთმეტე ადგილზე აინაცვლებს და მომავალი ბობოლა ტურნირებისთვისაც დაშზოშიანი განწყობით შემარაგდება.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ᲘᲐᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲣᲒᲘᲐ

14 წლის ქართველი ჩოგბურთელი ია ჯიქია თავისზე უფროსებში კარგ თამაშს უკვე მიეჩვია. წლის დასაწყისში 16-წლამდელთა შორის პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის 18-წლამდელთა რეიტინგში ათასეულში შევიდა. მწვრთნელმა თეიმურაზ კაკულიამ გადაწყვიტა, მოსწავლე უფრო დიდებში გამოეცადა და აპრილში 18-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირებიც დაუგეგმა.

ექსპერიმენტმა გაამართლა. ჯიქიამ 5-დან 24 აპრილამდე ისრაელის სამ ქალაქში ითამაშა და ერთეულთა შორის ჯამში 11 თამაშიდან 10 მოიგო. წარუმატებელი მხოლოდ პირველი ტურნირი (ბათიამი) გამოდგა, რომლის პირველსავე წრეშიც ქართველი მომავალ ჩემპიონს, რუს ანასტასია პივოვაროვას დაუპირისპირდა.

პივოვაროვამ მომდევნო ტურნირებზეც ფინალში გააღწია, თუმც ორივეჯერ ჯიქიასთან დამარცხდა. ჰაიფაში (13-17 აპრილი) ია შედარებით გაუჭირდა 6:4, 6:7, 6:4. ბერშევაში (20-24 აპრილი) კი რუსს მხოლოდ 4 გეიმი დაუთმო და 6:2, 6:2 იმარჯვა.

წყვილთა შორის ჯიქია სამივე ტურნირზე პივოვაროვასთან ერთად გამოვიდა და აქაც წარმატებით. ბათიამურ ნახევარფინალს ჰაიფურის მეორე ადგილი მოჰყვა. ბერშევაში კი ორმაგად იჩემპიონა.

ისრაელმოვლილი ქართველი თვის ბოლომდე თბილისში განაგრძობს ვარჯიშს, ხოლო შემდეგ შუა აზიაში, უფრო მაღალი კატეგორიის ორ ტაშკენტურ ტურნირზე გაემგზავრება. ნორჩი ჩოგბურთელის გეგმაში წლის ბოლოს ამერიკაში გასამართ დიდი სლემის 18-წლამდელთა შეჯიბრში თამაშია. საამისოდ ასეულში შესვლაა საჭირო. ამჟამად კი ია 168-ეა.

ᲘᲐ ᲯᲘᲥᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი

ᲨᲔᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲐ ᲐᲨᲨ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

REUTERS ᲡᲢᲠᲐᲜᲯᲔᲠᲘᲓᲐᲜ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲔᲮᲔᲑᲛᲐ ᲩᲐᲩᲔᲮᲔᲡ

E ᲓᲐ F ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ სატურნირო მდგომარეობა ბევრით არაფრით შეცვლილა. ჩეხეთს და კანადას ხომ ისედაც დაბეჭდული ჰქონდათ მეოთხედფინალი. ამიტომ შვეიცარიასა და გერმანიას ალბათ გულის სიღრმეში იმედი ჰქონდათ, რომ მეტოქე მოდუნდებოდა, მაგრამ სულ ტყუილად.

ჩეხები ტურნირის მასპინძლები არიან და „შაუკა არენაზე“ მოსული 17 000 მაყურებელი ტელეეკრანებთან მჯდარ უამრავ ჩეხეთთან ერთად ძალების დაზოგვას როგორ აპატიებდა. ამიტომაც მასპინძლებმა ერთობ მოინდომეს. მაგრამ ამ დღეს შვეიცარიელთა მეკარე მარკო ბიულერი სასწაულებს სჩადიოდა და მატჩმაც ბოლო წუთამდე შეინარჩუნა ინტრიგა. ვაცლავ პროსპალმა მესამე გოლი მხოლოდ მაშინ გაიტანა, შვეიცარიელებმა წესები რომ დაარღვიეს. მატჩის ბედიც ამ დროს გადაწყდა. ერთი გოლი იარომირ იაგრის ანგარიშზეა, რომელიც 8(4+4) ქულით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

შვეიცარიელთა წინააღმდეგობამ ისე გააბრაზა ჩეხები, რომ რამდენჯერმე შეხლა-შემოხლაც მოხდა, ხოლო ყველაზე აქტიურ ჩეხ რადეკ დვორჟაკს ყინულის დატოვებაც კი მოუწია.

2 მაისი

E ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ 3:1 ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
0:0 2:1 1:0

�კᲐᲜᲐᲓᲐ 6:1 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
3:0 2:1 1:0

ჩეხეთი	4	0	0	13:3	8
კანადა	3	1	0	13:4	7
გერმანია	1	1	2	6:13	3
შვეიცარია	0	2	2	7:13	3
ლატვია	0	2	2	3:7	2
ავსტრია	0	2	2	7:11	2

F ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ 8:0 ᲓᲐᲜᲘᲐ
3:0 4:0 1:0

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 3:1 ᲐᲨᲨ
1:0 0:1 2:0

სლოვაკეთი	3	1	0	18:5	7
შვედეთი	3	1	0	12:5	7
ფინეთი	2	1	1	13:8	5
აშშ	1	1	2	9:12	3
რუსეთი	1	0	3	10:10	2
დანია	0	0	4	3:24	0

მე-13-16 ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ 6:2 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ
2:1 0:0 4:1

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

2 მაისი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 3:2 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 7:2 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ *3:1 3:1 1:0*

1:0 რეკი (4), 2:0 ჰანდზუში (6), 3:0 პრიმო (19), 3:1 ნუინდაიკი (20), 4:1 პრიმო (21), 5:1 რადივოევიჩი (24), 6:1 ჰანდზუში (28), 6:2 რობერტსი (30), 7:2 პრიმო (44)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲡᲚᲘᲒᲐ ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ
ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲔᲤᲝᲠᲓᲘ 0:0 დ.(2:4პენ.) ᲐᲚᲓᲘᲠᲨᲝᲢᲘ (1:1)
ᲨᲠᲘᲣᲡᲑᲔᲠᲘ 1:0(5:3პენ.) ᲑᲐᲠᲜᲚᲔᲗᲘ (1:2)

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

II ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ. XXXI ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲐ 1:3 ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXXVI ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲔᲚᲛᲝᲜᲓᲘ 0:2 ᲝᲡᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲐᲚᲡᲕᲔᲜᲡᲙᲐ. V ᲢᲣᲠᲘ

ᲢᲠᲔᲚᲔᲑᲝᲠᲒᲘ 1:1 ᲛᲐᲚᲛᲘᲝ
ᲐᲘᲯ 0:2 ᲰᲐᲚᲛᲡᲢᲐᲓᲘ
ᲔᲚᲤᲡᲑᲝᲠᲒᲘ 1:1 ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

ᲢᲘᲰᲔᲚᲘᲒᲐ. IV ᲢᲣᲠᲘ

ᲤᲠᲔᲓᲠᲘᲙᲡᲢᲐᲓᲘ 2:2 ᲕᲝᲚᲔᲠᲔᲜᲒᲐ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XXIII ᲢᲣᲠᲘ

ᲝᲒᲝᲚᲝᲜᲘ 3:0 ᲖᲘᲠᲙᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

I ᲚᲘᲒᲐ. XXI ᲢᲣᲠᲘ

ᲕᲘᲡᲚᲐ 3:1 ᲕᲘᲰᲝᲕᲘ
ᲐᲛᲘᲙᲐ 0:1 ᲚᲔᲒᲘᲐ
ᲒᲣᲠᲜᲘᲙᲘ 2:2 ᲒᲠᲝᲪᲚᲘᲜᲘ
ᲚᲔᲩᲘ 2:0 ᲝᲓᲠᲐ
ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲘᲪᲔ 0:0 ᲙᲐᲢᲝᲕᲘᲪᲔ
ᲞᲝᲚᲝᲜᲘᲐ 3:0 ᲚᲔᲩᲜᲐ
ᲞᲚᲝᲪᲙᲘ 2:0 ᲡᲕᲘᲢᲘ

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲑᲠᲘᲜᲣᲡᲚᲘᲒᲐ. XXVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲘᲜᲝᲢᲘ 4:2 ᲡᲚᲐᲕᲘᲐ

კენტუკი დერბი

აბა, რა სჯობია კენტუკის დერბიზე სტუმრობას. ამერიკის უგანთქმულესი დოლი უკვე 130-ედ გაიმართა და ჩვეული ამბებიც თან ახლდა. ლუისვილის კიდეზე, ჩერჩილზ დოუნსში პიტნიან სასმელსაც კი, ამ მაგარ ქალს რომ უჭირავს ხელში, ისტორიული წარსული აქვს. კენტუკი დერბიც სწორედ ისეთია, როგორიც ეს ქალი ძველი ინგლისური სპორტისა და დიდი ამერიკის მიქსი. სადღეგრძელოდ შლაპით და შიშველი გულისპირით, ტალახში ჭიდაობით, ძველი ტერასებით და ცხენით, რომელსაც „გენიოსა ჯონსი" ჰქვია, ასევე ჩაუქი სტიუარტ ელიოტით, რომელმაც „სმართი ჯონსთან" ერთად მოიგო წლევანდელი კენტუკი.



REUTERS კენტუკიდან

REUTERS კენტუკიდან

REUTERS ობერნ ჰილსიდან

უთავო ტანმოვარჯიში

REUTERS მინსკიდან

მინსკში გახურებულა
მხატვრული
ტანვარჯიშის დიდი
პრიზის გათამაშება.
რუს ოლგა კაბრანოვას
ბურთი
კი კოხტად უჭირავს,
მაგრამ გეგონება,
რომ წამიც
და დაიშლება.
თავი სადღა აქვს?

პირველი ფერარი

1947 წლის „ფერარი 166 სპაიდერ კორსა". აი, უძველესი სპორტული სარბოლე „ფერარი". ძველი და ახალი „ფერარის" საუცხოო მოდელები ნიუ იორკის როკფელერ ცენტრში გამოუფენიათ, რამდენიმე კი სექტემბერში გაიყიდება „კრისტის" აუქციონზე. მათ შორის „სპაიდერ კორსაც". საწყისი ფასი მილიონ 350 ათასი დოლარია.

REUTERS ნიუ იორკიდან

ასევე, ასევე

ეს 81 წლის კაცი (შუაში) ორი მილიარდის პატრონი ბილ დევიდსონია. ის „დეტროიტ პისტონზის" საკალათბურთო მატჩის საცქერლად მისულა „ობურნ ჰილზში". არც გასაკვირია: „პისტონზი" მისია. ასევე მისია სხვა საკალათბურთო გუნდი „დეტროიტ შეი", ასევე ჰოკეის გუნდი „ტამპა ბეი ლაითინგი", ასევე „დეტროიტ ფარის" საფეხბურთო გუნდი, ასევე დეტროიტის „ენერჯი მიუზიკის" თეატრი, „მიდოუ ბრუკის" მუსიკის ფესტივალი და „ობორნ ჰილზის" დარბაზი, რომელშიც ახლა იმყოფება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,- II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge